





ქართული  
ბიბლიოთეკა

1977

1917

საქართველო

ნოემბერი  
№ 11 1977 წ.



ვლადიმერ ილიას ძე ლენინი

უჩა ჯაფარიძე,  
საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი

# ყველაზე ღიალი ღღა

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

უჩვეულო მდღევარება ეუფლება ადამიანს, როცა იგი მოსკოვის წითელ მოედანზე შესდგამს ფეხს. ეს გასაგებიც არის. აქ მართლაც მთელი არსებით, მთელი გულით გრძნობ კაცობრიობის ახალი ისტორიის მაჩვენებელს, გრძნობ სიდიადეს ახალი ეპოქისა, რომელიც დაიწყო ათასცხრამას ჩვიდმეტ წელს და რომელმაც ცოცხალ სინამდვილედ აქცია ადამიანებისა და ერების საუკუნოვანი ოცნება თავისუფლებასა და ბედნიერებაზე. წითელ მოედანზე ყოველ ნაბიჯზე გრძნობ, რომ დადიხარ წმინდა მიწაზე; იქ, მავზოლეუმში მარადი ძილით სძინავს ადამიანს, ვინც წაღმა, მზისკენ, სინათლისკენ შეატრიალა ისტორიის ბოროტადი და ხალხებს თავისუფლების გაზაფხული გაუთენა; მის სახელს, დიდი ლენინის სახელს — უღრმესი სიყვარულის გრძნობით წარმოსთქვამს ყველა პატიოსანი ადამიანი, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი და რა ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს.

ცხრაას ჩვიდმეტი წელი, შვიდი ნოემბერი — ეს არის ყველაზე სასახელო თარიღი ხალხთა ისტორიაში. იმ დაუვიწყარ დღეთა შთაბეჭდილებას გადმოსცემს საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე თავის ბრწყინვალე პოემაში „ოქტომბრის სიმფონია“. ამ პოემის სტრიქონებში ისმის ისტორიის ქარიშხლის გუგუნი. ისტორიის წყაღავალი მსვლელობის რიტმი; პოეტი იწყებს ოქტომბრის წინა დღეების შთაბეჭდილებას, უაღრესად პლასტიკური გადმოცემით: „წითელ დროშის ქვეშ საომრად მდგარი, მომსწრე მრავალის დღეების ბნელის, ფაბრიკათა რივი, ქარხნების ჯარი — უცდიან ლენინს. მილიონობით — დამშეულთ რიგებს ამაოდ ხელი არ გაუწვდიათ, არ მოელიან არავისგან შევლას — ლენინს უცდიან. რასა ჰგავს ყანა და ფარეხები! რამ დაგვიშამა სიცოცხლის დღენი? დარიბ-ლატაკი სოფლის გლეხები — უცდიან ლენინს. ეროვნებათა დაჩაგრულთ ბედი, ბარიკადები ქუჩების ვრცელის, ჩინში მოქცეულ რუსეთის ბედთან — უცდიან ლენინს. ლენინი მოდის! პროლეტარიატს ექნება გეზი, სად გამოვიდეს, ვისთან და როდის — იმ მატარებლით ქობთა მშვიდობა და სასახლეოა გოდება მოდის! ლენინი მოდის! იმ მატარებლით მოდის ნამგალი, იმ მატარებლით ჩაქუჩი მოდის! თავისუფლება და ზავი მოდის! ამხანაგებო, ლენინი მოდის!“

რა კარგად გამოხატა პოეტმა დედააზრი ჩვენი ეპოქისა: ლენინი — ეს არის ხალხებისა და ერების თავისუფლება, ეს არის საქვეყნო მშვიდობა და ბედნიერება! აქ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: საბჭოთა მწერლობა, თავის დასაბამიდან, თავის წარ-

## ბიორგი ნატროშვილი

მოშობის დღიდან, იმ დღიდან, როცა დაიქუხეს „ავრორას“ ქვემეხებმა, მთელი სამოცი წლის მანძილზე იყო და არის ზუსტი და მართალი სარკე ჩვენი გამარჯვებებისა, იყო და არის ქეშმარიტი მატანე საბჭოთა საშობლოს სისხლსავსე და მჩქეფარე ცხოვრებისა. ამ მატანის ფურცლებზე აღბეჭდილია საბჭოთა ხალხის სასახელო შრომა და ბრძოლა, უდიდესი დეაწლი მშრომელთა მილიონებისა, რომელთაც კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით ააშენეს განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება.

ექვსი ათეული წელია გუგუნებს ოქტომბრის დიდებული სიმფონია, და მას აღტაცებით უხმენს მშრომელი კაცობრიობა; ამ ექვსი ათეული წლის მანძილზე უდიდესი ცვლილებები მოხდა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ამ ღრმა, ყოვლისმომცველ სოციალურ გარდაქმნებს დასაბამი მისცა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

ექვსი ათწლეულის მანძილზე ოქტომბრის სამშობლოს მიღწევები დამაჯერებლად აღსატურებენ, რომ სოციალიზმმა უზრუნველყო საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის პროგრესის ისტორიაში უმაგალითო ტემპი.

ოქტომბრის დიდი მონაპოვარი, საბჭოთა მოქალაქეთა უდიდესი უფლებანი და თავისუფლებანი. რომელთა მსგავსი მანამდე არასოდეს უნახავს კაცობრიობის ისტორიას და მხოლოდ უოცნებიათ მასზე — საბჭოთა ხალხის ეს დიდი მონაპოვარი ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციაში, რომელიც ახლანან მიიღო და დამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიამ და რომელიც იშვიათი სისრულით გამოხატავს მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და ინტერესებს.

ახალი კონსტიტუცია გზას უშუქებს მწერალს, აძლევს უფართოეს გასაქანს მის ფანტაზიას და, ცხადია, მწერალი არ უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რომ საწვიმო სიტყვით მიესალმოს განვითარებული სოციალიზმის ახალ კონსტიტუციას; ამიერიდან ეს იქნება გზის მაჩვენებელი მწერალთა ახალი თაობებისათვის. კონსტიტუციაში ნათლადა ასახული ოქტომბრის მსოფლიო ისტორიული მონაპოვრები, ჩვენი ხალხის გამარჯვებანი ყველა უბანზე; მასში მოცემულია გამარჯვებული სოციალიზმის

პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის მთლიანი სურათი; ყოველი სტრიქონი, ყოველი წინადადება აქ გამსჭვალულია ლენინური სიბრძნით, ლენინური ზრუნვით ხალხის ინტერესებზე.

კონსტიტუცია შეიცავს დიდმნიშვნელოვან მუხლს იმის შესახებ, რომ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმართველი ძალა არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია; პარტია არსებობს ხალხისათვის და ემსახურება ხალხს. კონსტიტუციაში ასახულია საბჭოთა ხალხების ძღვევამოსილი ოჯახის განუხრელი წინსვლელობა ნათელი კომუნისტური მომავლისაკენ. ხალხთა ამ დიადი და ისტორიული მანამდე არნახული კავშირის მთელი სიდიადის, სიმტკიცისა და ერთიანობის, სიბრძნისა და სიკეთის შესანიშნავი და მართალი გამოხატულებაა, უზუსტესი სარკეა ჩვენი ახალი კონსტიტუცია. ეს არის განუზომელი მნიშვნელობის დოკუმენტი; მის სტრიქონებში ლაპარაკობს ხალხთა ისტორია და აწმყო, მის სტრიქონებში ჩანს, თუ რა დიადი და მშვენიერი ნაყოფი მოიტანა მილიონების თავდადებულმა ბრძოლამ და შრომამ ათეული და ასეული წლების მანძილზე.

რა იყო კაცობრიობის მთელი ისტორია, თუ არა გაუთავებელი ომები, როცა ერთი ერი, უფრო ძლიერი, იმონებდა მეორეს, იკლებდა მის მიწა-წყალს იმ საბაბით, რომ თვით განგებამ მარგუნა მეზობლებზე ბატონობა, როგორც მაღალი რასის წარმომადგენლსო. ისტორიას ახსოვს „მსოფლიო იმპერიები“, სადღა მათი სახსენებელი!

ოქტომბერმა, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, დამკვიდრა ხალხების თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა. საბჭოთა კონსტიტუციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მოქალაქეთა უფლებების, ყოველგვარი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა, რასობრივი და ეროვნული ნიშნების მიხედვით მოქალაქეთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი უპირატესობების დაწესება, ისევე როგორც რასობრივი და ეროვნული განსაკუთრებულობის, შუღლისა ან უგულვებელყოფის ყოველგვარი ქადაგება, კანონით ისჯება.

კონსტიტუცია მოიცავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ფართო სპექტრს; ეს არის შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის მიღწევების გამოყენების; მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლების უფლებები; ხალხის ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტ-

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



№ 11 (491) ნოემბერი, 1977 წ.

შურნალი გამოდის 1928 წლიდან  
ქოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი  
სამ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „ღროშა“, 1977.




მთავარი რედაქტორი  
რეზა მარგინი  
სარედაქციო კოლეგია:  
გულნარა ბახტაძე, დინარა ნოღია  
თინათინა გოგოლაძე (მხატვარი-რედაქტორი),  
(პ/მგ. მდივანი),  
ოთარ დემეტრაშვილი, ლადო სულაბერიძე,  
გურამ დონანაშვილი, ილია ტაბაღაძე,  
სერგო ლორთქიფანიძე, შაა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი







## თავს არ უპირისუფლებს

დიდი ბედნიერება მხვდა წილად: მონაწილეობა მივიღე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ისტორიულ რიგგარეშე მეშვიდე სესიაში, რომელმაც ერთ-სულთვანად მიიღო ჩვენი ძლიერად მხარდებული საშობლო ახალი კონსტიტუცია.

საქართველოში დაბრუნებისთანავე ნათლად ვიგრძენი როგორი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა სუფევს ჩვენთან. ყველა მოძმე რესპუბლიკასთან ერთად, საქართველოს მშრომელები ახალი საგმირო საქმეებისათვის, გადაუღალავი მიჯნების დაძლევისათვის აღფრთოვანა კომუნისტების მშენებლობის ეპოქის მანიფესტა — საბჭოთა კავშირის ახალმა კონსტიტუციამ.

საერთო საქმეში გორის რაიონის ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებსაც შეაქვთ თავიანთი წვლილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიას ბერბუკელები შრომაში მოპოვებული წარმატებებით შეეგებნენ. მათ საშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ათეულ ტონობით მაღალხარისხიანი ხილი, ბოსტნეული, დიდი რაოდენობით აწარმოეს სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

არც ჩემს ბრიგადას შეურცხვენია თავი. დიდი ოქტომბრის მე-60 საიუბილეო წელს თავიდანვე კარგი სტარტი ავიღეთ. გულმოდგინედ ვეჭიდებოდით საქმეს. შრომამ დაფასება იცის. აკი დაგვიფასდა კიდევ: ხილისა და ბოსტნეულის უხვი მოსავალი მოვიწიეთ.

ახალი კონსტიტუციის მიღებით აღფრთოვანებულმა ბრიგადის წევრებმა მტკიცედ გადაწყვიტეთ, კიდევ უფრო მეტი მონღომებით ვიშრომით, მეტი ხვაი და ბარაქა შევმართო ჩვენს ქვეყანას.

თავს არ უპირისუფლებს! ახალი კონსტიტუცია საბჭოთა ადამიანებს არა მარტო იცავს და ალაღებს, არამედ მათ საშობლოსადმი მეტი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძობითაც აღავსებს.

### არსენ ლოლიჯაშვილი,

გორის რაიონის ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის მეორე ბრიგადის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი.

## თავისუფლება და კომუნისტური კანონი

ახალი საბჭოთა კონსტიტუცია ჩვენი ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ჩვენი ძმობის მტკიცე გარანტიაა.

ჩვენი ცხოვრების ამ ნათელ კანონს თან ახლავს დიდი შორსმჭვრეტელური აზრი ერთა ნაციონალური კულტურების, ენების, ხალხური ტრადიციების და მთელი შემოქმედების შემდგომი განვითარებისა.

დიდ სახელმწიფოში პატარა ხალხების ეკონომიკური და კულტურული დაწინაურების, ადამიანის მთელი საქმიანობის ასე პარმონული შერწყმა ერთეული და საკაცობრიო იდეალების ყველაზე პროგრესულ ინტერესებთან, სხვაგან არსად არ შეიძლება. პიროვნებისა და საზოგადოების მოთხოვნათა რეალური შეფასება, მათი დამაკმაყოფილებლის პირობათა შექმნა, ამ პირობათა დაცვა, მთლიანად განმტკიცებულა საბჭოთა ქვეყნის ახალ კონსტიტუციაში.

ამიტომ, ქართული კულტურის ყოველი მოღვაწე, მშობლიურ ხალხთან ერთად, სულითა და გულით მივსალმებით ჩვენი ცხოვრების ამ ნათელი კანონის მიღებას.

ჩვენ წინ მიგვიძღვება უმაღლესი რწმენა, რომ ახალი საბჭოთა კონსტიტუცია ახალ შემოქმედებით შთაგონებას მოიტანს, იგი გააფართოვებს და გააღამაზებს ჩვენს თავისუფლებას, განამტკიცებს იმ დიდ ძალას, რასაც ხალხთა ძმობა ეწოდება.

ფრიდონ ხალვაში,  
პოეტი.



## მონოლიტური ერთიანობა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა:

„ოქტომბრის გზით სამოცი წლის განვითარების მთელი გამოცდილება ადასტურებს, რომ ჩვენი ძალა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობაა“.

გულში ჩამწვლში ქეშმარიტი სიტყვებია! სწორედ ამ ურღვევი ერთიანობის ნათელი გამოხატულება განვითარებული სოციალიზმისა და კომუნისტების მშენებლობის ეპოქის მანიფესტი — საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია.

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის შემოქმედი ხალხია, პარტია კი ამ ხალხის ნებასა და მისწრაფებებს გამოხატავს, ყოველთვის ხალხის ბედნიერებისათვის, კიდევ უფრო ნათელი მომავლისათვის იღწვის.

პარტიისა და ხალხის ერთიანი ნების გამოხატველი ახალი კონსტიტუცია სამუდამოდ დარჩება მშრომელთა მეხსიერებაში, როგორც ხალხის ხელი-სუფლების ლენინური პრინციპის მკაფიო დადასტურება, როგორც ბრძოლისა და ენთუზიაზმის, ყველა ჩვენი გამარჯვების უქნათელი წყარო.

მწამს, ყველა მშრომელის გულისთქმას გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ ახალი საბჭოთა კონსტიტუცია შემოქმედებითი ენერგიით გვაძლავს, პარტიის მიერ დახატული მიზნების განხორციელებას შესრულებისათვის, დედამშობლოს სადიდებლად კიდევ უფრო თავდადებული შრომისაკენ გვიხმობს და გვრამავს.

### შოთა ფირცხალავა,


კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ამწყობი-ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მომავლისკენ (ფრაგმენტი).


მხატვარი ზურაბ ლეუავეა.



ზაურ დეისაძე.  
სტუდენტები.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ანზორ ჩხაიძე.  
სერიიდან „კოლხეთი“.





დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის მე-60 წლის-  
თავს საბჭოთა ხალხთან ერთად ზეიმობს მთელი პროგრესული კაცობრიობა,  
ხელი შეუწყო ადამიანის საუკეთესო თვისებების მაქსიმალურ გამოვლინებას.  
კლასობრივ ბრძოლებში გამოწრთობილია გმირება მოგვეცეს ზნობრივი სიწ-  
მინდისა და სრულყოფის უკვდავი ნიმუშები. ამ გმირებს შორის განსაკუთრე-  
ბული ადგილი უკავიათ დიდი ლენინის უშუალო მოწაფეებსა და თანამებრძო-  
ლებს, რომელთა რიცხვს განეკუთვნება ჩვენი პარტიის ერთიანობისა და ძლი-  
ერების ერთ-ერთი მშენებელი, საერთაშორისო კონტრრევოლუციის რისხვა,  
სოციალიზმის მტრების მიმართ დაუნდობელი და მეგობრებისთვის თავდად-  
ებული, რევოლუციის უშიშარი რაინდი ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი. მის  
სახელს უდიდესი სიუვარულითა და მაღლიერების გრძნობით წარმოსთქვამენ  
კეთილი ნების ადამიანები, ხოლო საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმის  
მტრებს დღესაც არ განელებიათ სიძულვილი ძერჟინსკისადმი და ეს სიძულვი-  
ლი მისი საუკეთესო ატესტაციაა.

ჭაბუკი, თითქმის მოზარდი იყო ფ. ე. ძერჟინსკი, როცა ჩაება რევოლუ-  
ციურ მოძრაობაში.

„ყოველ ძალადობას, — წერდა მაშინ ფელიქსი, — განვიციდით, როგორც  
ძალადობას პირადად ჩემს მიმართ“.

ახალგაზრდა რევოლუციონერის ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისე-  
ბები — შეგნებულობა, ისტორიული ოპტიმიზმი იყო შეურყეველი რწმენა არ-  
ჩეული გზის სისწორისა.

„რაც უფრო საზარელია ახლანდელი ცხოვრების ჯოჯოხეთური არსი, —  
წერდა ახალგაზრდა ძერჟინსკი, — მით უფრო გარკვევით მესმის ცხოვრების  
უკვდავი ჰიზნი, სიმართლის, ჭეშმარიტებისა და ბედნიერების ჰიზნი, და ჩემ-  
ში ვერ ბინადრობს სასოწარკვეთა. სიცოცხლე სახალისოა მაშინაც, როცა ხელ-  
ფხვზე ბორკილები გადავს“.

ბორკილების ტარება კი ხშირად უზღებოდა... 1897 წელს ფელიქს ძერჟინს-  
კის, რომელმაც მიანება თავი გიმნაზიაში სწავლასა და ლიტვის სოციალ-დემ-  
ოკრატიული პარტიის ვილენის ორგანიზაციაში შევიდა, რევოლუციური მუ-  
შაობისათვის აპატიმრებენ და კოვენის ციხეში ათავსებენ.

ფ. ძერჟინსკიმ უკვე იმ წლებში გამოიჩინა თავი, როგორც ჭეშმარიტმა ინ-  
ტერნაციონალიზმმა. „მე ვიყავი ნაციონალიზმის ყველაზე დაუნდობელი მტე-  
რი და უდიდეს ცოდვად მიმაჩნდა ის ამბავი, რომ ჩემი ციხეში ყოფნის პე-  
რიოდში ლიტვის სოციალ-დემოკრატია არ შევიდა ერთიან რუსეთის სოციალ-  
დემოკრატიულ მუშათა პარტიაში“, — წერდა იგი. შემდეგ ძერჟინსკის ასახ-  
ლებენ ვიეტნამის გუბერნიის ქალაქ ნოლინსკში, საიდანაც იგი გარბის და ვილ-  
ნოში ჩადის, ხოლო შემდეგ — ვარშავაში, სადაც პოლონეთისა და მილიანად  
რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე ხდება.  
1900 წელს ძერჟინსკის ისევ აპატიმრებენ და ციმბირში ასახლებენ, მაგრამ  
იგი კვლავ გარბის გადასახლებიდან და ამჯერად იძულებულია, საზღვარგარეთ  
გაიხიზნოს.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ფელიქს ძერჟინსკი თვითმ-  
პყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე და  
ორგანიზატორია. იგი განიცდის ხელისუფლების გამჭვივარებულ რეპრესიებს.  
მას ზედღვივდენ რამდენჯერმე აპატიმრებენ. რსდმპ მესხეთე ყრბობა დაუსწრებ-  
ლად ირჩევს ძერჟინსკის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

რეაქციისა და რევოლუციური აღშავლობის პერიოდში ფელიქს ძერჟინსკი  
ლენინური თანმიმდევრობითა და პრინციპულობით ებრძოდა მენშევიკ-ლიკვი-  
დატორებსა და ტროცკისტებს, აღუღაბებდა ბოლშევიკურ იატაკქვეშეთს, ეწე-  
ოდა კოლოსალურ ორგანიზატორულ და პროპაგანდისტულ მუშაობას პარტი-  
ის რიგებში და მშრომელთა ფართო მასებში, რისთვისაც არაერთხელ იყო და-  
პატიმრებული და გაციმბირებული (უკანასკნელად 1916 წელს). ფ. ძერჟინსკი  
კატორილიდან 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ გაათავისუფლა.

ფელიქს ძერჟინსკი მონაწილეობს რსდმპ სრულიად რუსეთის VII (აპრი-  
ლის) კონფერენციის მუშაობაში, მხურვალედ უჭერს მხარს ლენინის ცნობილ  
აპრილის თეზისებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალის-  
ტურ რევოლუციაში გადაზრდის შესახებ. პარტიის მეექვსე ყრილობაზე  
ფ. ძერჟინსკის კვლავ ირჩევენ ცენტრალური კომიტეტის წევრად.

1917 წლის 16 ოქტომბრის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართო-  
ებულ სხდომაზე ფ. ძერჟინსკის ირჩევენ შეიარაღებული აჯანყების პარტიულ  
ცენტრში, ხოლო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭო  
მას სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრად ირჩევენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, 1917  
წლის 7 დეკემბერს, ვ. ი. ლენინის წინადადებით შეიქმნა სრულიად რუსეთის  
საგანგებო კომისია, რომლის თავმჯდომარედ პარტიის ცენტრალურმა კომი-  
ტეტმა ფ. ე. ძერჟინსკი დანიშნა.

„სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია, — წერდა მოგვიანებით „რკინის  
ფელიქსი“, — გადაიქცა მრისხანე სიმბოლოდ ყველა იმათვის, ვინც ვერ შე-  
ურიგდა მშრომელთა მონაპოვარს, ვინც ოცნებობდა ძველი რეჟიმის გაცოცხ-  
ლებაზე, ვინც ხაზრბობდას უშადადბა მუშებსა და გლეხებს. სრულიად რუ-  
სეთის საგანგებო კომისია მტკიცედ იდგა რევოლუციის სადარჯოზე და პირ-  
ნათლად შეასრულა მასზე დაკისრებული ძნელი ამოცანა“.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ, რომელშიც მუშაობდნენ რევო-  
ლუციის თავდადებული მებრძოლები, უაღრესად პატიოსანი და უმწიკლო

კომუნისტები, გამოავლინა და უვნებელყო. მრ-  
ვალი საშინაო და საგარეო შეთქმულება მსოფ-  
ლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს  
წინააღმდეგ.

ფელიქს ძერჟინსკიმ სამოქალაქო ომის წლებში  
სახსელოდ შეასრულა ვ. ი. ლენინის, პარტიის ცენ-  
ტრალური კომიტეტის ურთულესი დავალებანი  
თეთრგვარდელი ბანდების განადგურების საქმეში.

ვ. ი. ლენინის წინადადებით 1921 წელს ფ. ე. ძე-  
რჟინსკი ინიშნება გზათა სახალხო კომისარად, ხო-  
ლო 1924 წელს — სახალხო მეურნეობის უმაღლე-  
სი საბჭოს თავმჯდომარედ. ამავე წელს მას ირჩე-  
ვენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტი-  
ურის წევრობის კანდიდატად.

ფ. ე. ძერჟინსკი იყო პარტიის რიგების ლენინურ-  
ი ერთიანობისათვის თავდადებული მებრძოლი.  
„რკინის ფელიქსის“ გამოვლენები ტროცკისტულ-ზი-  
ნოვიოვური ოპოზიციის წინააღმდეგ დღესაც დიდ  
ინტერესს იწვევენ, ვინაიდან მათში ლენინური,  
კლასობრივი პოზიციებიდან არის განხილული დე-  
მოკრატიის, ადამიანთა უფლებების საკითხები.

ფ. ე. ძერჟინსკის მაღალი მორალური და ზნე-  
ობრივი პრეტენდენტი დღესაც ინარჩუნებს უდიდეს  
აღმზრდელობითს მნიშვნელობას.



# რევოლუციის რაინდი

„ყო სხვებისათვის ნათელი სხივი, თვითონაც ასხივებდე ნათელს — აი,  
ყველაზე დიდი ბედნიერება, რასაც შეიძლება მიადწიოს ადამიანმა. მაშინ მას  
არ აშინებს არც წამება, არც ტყვილი, არც უბედურება, არც გასაქირი. მაშინ  
ადამიანს არ აშინებს თვით სიკვდილიც, თუმცა მხოლოდ და მაშინ ისწავლის  
იგი სიცოცხლის ჭეშმარიტ სიუვარულს“, — წერდა ძერჟინსკი.

„ჩვენ კომუნისტებმა, — ამბობდა ფ. ე. ძერჟინსკი, — ისე უნდა ვიცხოვ-  
როთ, რომ მშრომელთა ფართო მასებმა დაინახონ, რომ ჩვენ ხალხის მსახურნი  
ვართ, რომ რევოლუციის გამარჯვებითა და მოპოვებული ძალაუფლებით სა-  
კუთარი თავისათვის როდი გვისარგებლია“.

„გახსოვდეთ, — არიგებდა ფელიქს ძერჟინსკი ახალგაზრდა ჩეკისტებს, —  
როგორც არ უნდა ერქვას საგანგებო კომისიას, ეს უნდა იყოს სამი „ს“ —  
სისპეტაკე, სიწმინდე, სიფაქიზე“.

დღეს, როცა ახალი კონსტიტუციის მიღებით, საბჭოთა კავშირის კომუნის-  
ტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავში-  
რის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე  
ბრეჟნევის ამასწინანდელი მოხსენებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი  
დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს ზეიმობს, ჩვენ ერთხელ კი-  
დევე ვიგონებთ რევოლუციის უშიშარ რაინდებს, დიდი ლენინის ერთგულ მო-  
წაფეებსა და თანამებრძოლებს, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი ნიჭი,  
ენერგია, მონღობა და თვით სიცოცხლეც ხალხის სოციალური და ეროვნუ-  
ლი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

კომკავშირის XV ყრილობაზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევა, შეეხო  
რა ლენინური გვარდის წარმომადგენლებს, რომელთა რიცხვს განეკუთვნება  
ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი, ხატოვანად აღნიშნა, რომ საჭიროა „გადმოვი-  
ლოთ რევოლუციით გამობრძმედილი მათი ხასიათების არსი, გადმოვილოთ მა-  
თი რევოლუციური შემართება, მათი ღრმა კომუნისტური რწმენა, ჩვენი პარ-  
ტიის დიდი საქმის უზალო ერთგულება, მათი ცეცხლოვანი რომანტიზმი და  
რევოლუციის მტრებისადმი დაუცხრომელი სიძულვილი. გადმოვილოთ ყვე-  
ლაფერი ეს და მიუხსადაგოდ ჩვენს წინაშე მდგარი კომუნისმის აშენების მრ-  
ვალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტას“.

ირაკლი სიხარულიძე

# ქართული საქართველო

გალაკტიონ ტაბიძე

## გეგმი «დალანდი»

გამომადვილა ღამის აღმა, ნელმა და ქურდმა,  
ბალი ყელამდე წამახებით იყო ნაბური,  
ირგვლივ ეყარა დანგრეულთა ჩრდილთა ჩუქურთმა:  
ბაღს იქით მძიმედ ხმაურობდა ზღვა უღაბური.

მე მივდიოდი, მალა იღვა გეგმი „დალანდი“,  
შავი ზღვის ცაზე და ზვირთებზე შეყვარებული;  
მე კი სამშობლოს მიტაცებდა ლურჯი მანდილი,  
ქვეყნად მთვარეულ წამახებში შეფარებული.

გემით „დალანდი“ მივდიოდი სამშობლოსაკენ  
და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდად ჰქონდა;  
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ვეღარ მოვაგენ  
და არ მახსოვდა, მქონდა იგი, თუ მომაგონდა?

გახსენებისას მომძახოდა მტანჯველი ლანდი:  
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!  
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გეგმი „დალანდი“  
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი.

1918 წ.

## იღვა

რწმენით იარ, რწმენით იარ!  
მტკიცე გქონდეს ბიჯი!  
ყოველ ნიჭზე ძლიერია  
ქვეყნის დაცვის ნიჭი!  
ასე იყო და ასეა  
ბრძოლა ჩვენი მიწის,  
რწმენა ბევრად ძვირფასია,  
მან გაატანა იცის.  
ურყეველი რწმენის მტერი  
გზას ვერა რით აგნებს,  
როს სხვადასხვა გზით უცქერის  
ათასნაირ საგნებს.  
საგანიც ფერს მისთვის ხშირად  
იცვლის იმის გვარად —  
როგორ ხედავ, რანაირად,  
რომელ მხრიდან და რად.  
განა ვისმე ვიყავ მონა,  
როცა მდევდა ზრახვა  
და მრავალი დღეთა კონა  
ძლიერ დღევას გაჰყვა?!  
არა მონა? ო, პირიქით,  
თავისუფალ ამბით  
ოქროსა ვჭრი, როგორც ვჭრიდი,  
საკუთარი შტამპით.

მაგრამ, გრძნობათ სიმახვიე,  
ფიქრო ნათელ ფრენის,  
თუ მონა ხარ, მონა ისევე —  
საკუთარი რწმენის.  
რწმენით იარ, რწმენით იარ!  
მტკიცე გქონდეს ბიჯი!  
ყოველ ნიჭზე ძლიერია  
ქვეყნის დაცვის ნიჭი!  
ერთხელ, ღამით, ცეცხლის აღზე  
მივდიოდით ტოლნი.  
მივდიოდით და, ჰა, თავღწონ  
აღიმართა სმოლნი!  
სმოლნი, სმოლნი! აქ იმ დროის  
მახვილი და ბრძმელი —  
ქულდა რწმენით მსოფლიოს  
ერთი მეექვსედი.  
ის, ტიტანი, ვინ თქვა სახლად,  
მრავალ დამენათებს  
სწევს იღვა მალა-მალა,  
ზრუნვა ტვინთად ადევს...  
და როდესაც თვალს აცეცებს  
ლულა ტყვიამფრქვევის,  
გუშაგის ხმას, თქვენ ვის ეძებთ?  
ვუპასუხე, — ლენინს!

1922 წ.

ოქტომბრის რევოლუციის ყველანი როდი შეხედნენ სიხარულით და მეგობრულად. იყვნენ პეტრები და იყო ბრძოლები. პირველ დღეებში პეტროგრადის გარნიზონის ყველა ნაწილიც არ ამოუღდა მხარში ოქტომბერს. ზოგ ნაწილში დიდმა გავლენა ჰქონდათ ესერებს. ერთ-ერთის საარტილერიო დივიზიონი კი მთლიანად ესერების გავლენის ქვეშ იყო. ეს დივიზიონი ნომარი იყო ფრონტზე და კერძო კორნილოვის აჯანყების შემდეგ პეტროგრადში განგებ გადმოიყვანა დროებითი მთავრობის დასაცავად. ესერებმა მოიწვიეს პარტიული კრება და დადაგინეს, გაუმართონ ბრძოლა ბოლშევიკურ მთავრობას, ხოლო ლენინი მოჰკლან.

ლენინის მოკვლა დაავალეს ერთ ძველ ტერორისტს. ეს ტერორისტი ცნობილი იყო თავისი გამბედაობით. ის არ იყო „მარტის“\* ესერი, როგორც ამ დივიზიონის უმრავლესობა. რეაქციის დროს მას უანდარმთა პოლკოვნიკი ჰყავდა მოკლული. დაიჭირეს, მაგრამ გაიქცა ციხიდან და გადარჩა საბრძოლვას. რევოლუციამდე სხვისი პასპორტით ცხოვრობდა. ომშიც ამ პასპორტით გაიწვიეს. დივიზიონში პარტიული კომიტეტის წევრიც იყო. მან უყუყუანოდ მიიღო დავალება. თავმჯდომარე-მაც, ძველმა ესერმა, დაარბია, როგორ მოქცეულიყო. ტერორისტმა ჩაიღო ჯიბეში ორი რევოლვერი და წავიდა სმოლნი ლენინის მოსაკლავად.

\* \* \*

იმ დღეებში ადვილი იყო სმოლნი შესვლა. მართალია, იყო სამხედრო დაცვა, მაგრამ მკერდზე წითელბანტიანსა და მარცხენა სახელზე წითელსახვევიან უნტერ-ოფიცერს ვინ გააჩერებდა?

სმოლნი ყველა შეიარაღებული იყო; ყველას ფიქრი და ზრუნვა ეტყობოდა სახეზე. ამავე დროს ყველას ეტყობოდა, რომ მტკიცედ იყვნენ დაჯერებული თავის საქმეში. ტერორისტი გამოცდილი რევოლუციონერი იყო და მაშინვე შენიშნა ეს. მას არ უკითხავს, სად იჯდა ლენინი, იცოდა მისი ოთახი — № 36.

— თქვენ ვინ გინდათ, ამხანაგო? — ჰკითხა გუშაგმა.

გუშაგს მარჯვნივ რევოლვერი ეკიდა, მარცხნივ — ორი ყუმბარა. დიდი ყურბიანი ფაფახი წარბებამდე ჰქონდა ჩამოფხატული. ფაფახზე ფართო წითელი ლენტი ეკეთა.

— ლენინთან! — უპასუხა ტერორისტმა, — ჯარის ნაწილიდან ვარ. ჩემი ნაწილი უნდა მივუყვანო ლენინს!

— აბა, შედი!

ტერორისტი შევიდა კაბინეტში, მხედრულად გამოეჭიმა ლენინს და უპატავა:

— მე საარტილერიო დივიზიონიდან ვარ!

— დაჩქებით, გეთყავ! — უთხრა ლენინმა და სკამზე მიუთითა, — თუმცა, რადგან არტილერიისტი ყოფილხარ, დაგვეხმარეთ!

იქვე იღვა ორი წითელგვარდიელი, მაგიდაზე რუკა იყო გაშლილი და ბჭობდნენ — სად დაედგათ ბატარეა, სმოლნი რომ დაეცვათ.

— აქ არტილერიისტია საჭირო, — თქვა ლენინმა, — ჰოდა, თქვენ და თქვენი ცოდნა!

— აი, აქ! — უპასუხა ტერორისტმა, რუკას რომ დახედა.

— სწორია! — დამოწმა ლენინი, — მისასვლელი გზა სამხერი იქნება. თან მოსახვევი სამალავად გამოდგება. მიზნის გამოთოფვაც იოლია!

„სამხედრო ტერმინები სცოდნია“, — გაუკვირდა ტერორისტს.

წითელგვარდიელები რომ წავიდნენ, ლენინი მიუბრუნდა ტერორისტს:

— გისმენთ, ამხანაგო!

ტერორისტი დაჯდა. მარცხენა ხელი მარცხენა

\* „მარტის“ ესერებს იმათ ეძახდნენ, ვინც პარტიაში 1917 წლის მარტის შემდეგ შევიდა.

ჯიბეში ჩაიყო და რევოლუციის ჩახახი შეაყენა. მარჯვენა ჯიბეში მერე რევოლუციური ჰქონდა გადაკეტილი. თუ მარცხენა გაუცუდდებოდა, მაშინ მარჯვენას მოიხმარდა.

„მაგრამ დრო რომ დაგვარგე? — გაიფიქრა ტერორისტმა. — რა ეშმაკად ვაძლევდი რჩევას, მაშინვე საუბარი უნდა დამეწყო“...

— დიახ, გისმენთ! — ლენინი ტერორისტს მიაციერდა.

ტერორისტი დააკვირდა — მალალი შუბლი, მტკიცე სახე, სხივიანი, ნაპერწკლიანი, მხიარული თვალები.

„ამ გაწამაწიაში რატომ აქვს მხიარული თვალები?“ — გაიფიქრა ტერორისტმა. ლენინს კი ასე უთხრა:

— მე მოვედი საარტილერიო დივიზიონის დავლებით, რომ შეგვეკითხოთ: რატომ მოახდინეთ ეს შეთქმულება? — ასე დაიწყო საუბარი ტერორისტმა. წამოსვლისას იგი კომიტეტის თავმჯდომარემ, ძველმა ესერმა დაარბა: ჯერ საუბარი დაუწყე ლენინს, გააღიზიანე. იგი მოძრავი კაცია, დაიწყებს ოთახში სიარულს, აღელდება და მაშინ ესროლეო. მართლაცდა... წამოდგა ლენინი, გადააწვა მაგიდას და ცივი ხმით ჰკითხა:

— შეთქმულება თუ რევოლუცია?! შეთქმულება, თორმეტმილიონიანი არმია ჩვენს მხარეზე რომ არის?! მთელი გლეხობის უმეტესობა ჩვენს მხარეზე რომ არის?! მთელი პროლეტარიატი ჩვენს მხარეზე რომ არის?! ეს არის სახალხო რევოლუცია, ამხანაგო! პირველ ყოვლისა, ჩვენ გვინდა მშვიდობა მივცეთ ხალხს! უნდა შეწყდეს სისხლის ღვრა!.. რამდენი წელია, რაც თქვენ ჯარში ხართ?!

— სამი!

— ფრონტზე იყავით?

— თავიდანვე! ოთხჯერ ვარ დაჭრილი, — და ტერორისტმა თავი ასწია, მარჯვენა ხელი უღვაშებზე გადაისვა. მას სძულდა ეს ომი, მაგრამ ჭრილობებით მიანიც ამაყობდა. სამი წლის განუწყვეტელმა ბრძოლამ და სიკვდილთან ჰიდილობა თავისი დალი დაასვა. დაჭრილი ჯარისკაცები ამაყობდნენ თავიანთი ჭრილობებით.

— მაშ, რაღა მე ავიხსნათ ომის საშინელება? — შეეკითხა ლენინი, — რამდენი იტანჯეთ სხვისი გულისთვის, იმპერიალისტების ინტერესებისათვის? არ გენანებოდით თქვენი ცოლ-შვილი?.. გყავთ შვილები?.. მე ძალიან მიყვარს ბავშვები...

— ორი შვილი მყავს, — უპასუხა ტერორისტმა და თან გაუბრაზდა თავის თავს; „რა დროს ეგენია? რად მინდა მე, უყვარს თუ არა მას ბავშვები?“

— თქვენ ომამდე არ იყავით სამხედრო, ხომ? რა პროფესიისა იყავით ომამდე?

— სოფლის მასწავლებელი!

— ჰოო!.. რა კეთილშობილი პროფესიაა და

წიგნის ნაცვლად შაშხანა დაგაჯავბინეს ხელში!.. გრძობთ თუ არა ამ შეუსაბამობას?!

— ვგრძობ და მეტი არა! — ამოიკენეს ტერორისტმა და ისევ გაუბრაზდა თავის თავს. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, ლენინთან საუბრის ინიციატივა მის ხელში ყოფილიყო, ხედავდა კი, რომ საუბარი ლენინს მიჰყავდა და ლენინი ეუფლებოდა მის სულს... ბავშვები მიყვარსო... სადღაც, გულის სიღრმეში გაჰკრა ამ სიტყვებმა ტერორისტს... და წარმოუდგა შორეული სოფელი, სკოლა და ბავშვები... და უკვე ყრუდ ესმის ლენინის სიტყვები.

— გვეკითხებით: აქვს თუ არა თქვენს ბავშვებს პური? მარტო პეტროგრადში ასე ათასი ბავშვი შიმშილობს. თქვენ კი გსურთ, ისევ გაგრძელდეს შიმშილი? გაძლევდათ პურსა და მშვიდობას დროებითი მთავრობა? რა მოგვით მან რვა თვის განმავლობაში? მხოლოდ ატყუებდა და ატყუებდა ხალხს... ხალხი ხელცარიელი მოვიდა ოქტომბრის რევოლუციამდე... ახლა ეს მიიხარით, რა გაქვთ ხელში?!

ლენინი მივიდა ტერორისტთან, ხელი მხარზე დაადო და გაიმეორა:

— რა გაქვთ ხელში?

ტერორისტს გააჩრეოლა: „გულთმისანი ხომ არა ეს კაცი?“

ლენინმა ტერორისტის მარჯვენა ხელი ასწია, თითები გაუშალა და დამარცვლით უთხრა:

— ომი არ შეწყდა! ეს ერთი! — და ნეკი მოუღუნა, — გლეხობას მიწა არ მისცეს! ეს ორი! — და არათითი მოუღუნა, — მუშებს არაფერი... ეს სამი! — და მოუღუნა შუათითი, — დროებით მთავრობას არ სჯეროდა ხალხისა და ატყუებდა ხალხს... ეს ოთხი... — და მოუღუნა სალოკი თითი... — ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, მეგობარო, საჭირო იყო თუ არა ოქტომბრის რევოლუცია? მუშათა და გლეხთა სოციალისტური რევოლუცია, რომელზედაც დიდხანს ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები?!

ლენინმა ხელი გაუშვა ტერორისტის ხელს. ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე ერთგან შეჩერდა და როგორც მასწავლებელმა მოწაფეს, ისე შთაგონებით აუხსნა — უკვე შენობით დაუღაგა აზრები, თითქოსდა დიდი ხნის ამხანაგები იყვნენ:

— ეს რევოლუცია შენია! მუშებისა და გლეხებისა! ეს რევოლუცია თორმეტმილიონიანი არმიის მშვიდობისთვისაა! ეს რევოლუცია შენი მშვიერი ბავშვებისა! შენ კი ხელცარიელი მოხველი დღეს ჩემთან!

ტერორისტმა მუშტად მოკუმული მარჯვენა ხელი გაშალა, მართლაც, ცარიელი იყო ეს ხელი...

ლენინი ისევ მივიდა ტერორისტთან, გაუღიმა, სხივიანი თვალები შეანათა და გულში ჩაუჭკდა:

— მაგრამ ხელცარიელი ნუ წახვალ ჩემთან!.. მაგრად ჩასჭიდე ხელი ოქტომბრის რევოლუციას და დიაცივი იგი!.. ასეც უთხარი შენს დივიზიონს!.. ამხანაგურად უთხარი... აი, ასე როგორც მე გესაუბრებოდი!..

ტერორისტმა მარცხენა ხელით რევოლუციური გადაკეტა და ჯიბიდან ხელი ამოიღო. ლენინმა მაგრად ჩამოართვა ხელი მას. ტერორისტი სამხედრო წესით გამოეჭიმა ლენინს და მიტრიალდა. ლენინმა კარბამდე მიაცილა იგი.

ტერორისტი დერეფანში გავიდა, მარჯვენა ჯიბეში რევოლუციური ჰქონდა, მარცხენა ჯიბეში რევოლუციური ჰქონდა, გულში კი... გულში კი ორივე იარაღზე რაღაც ძლიერი და ახალი.

საარტილერიო დივიზიონში გულის ფანქვალით მოელოდნენ ტერორისტს. გამოჩნდა თუ არა იგი, მთელი ორგანიზაცია შეიკრიბა. დაძაბულად მიყარეს კითხვები:

— იყავი?

— ნახე?

— მოჰკალი?..

ტერორისტი დუმდა.

— ხმა ამოიღე! — უთხრა თავმჯდომარემ.

ტერორისტმა ამოიღო ორივე რევოლუციური, მაგიდაზე დადო და მტკიცედ განაცხადა:

— ვიყავი! ვნახე! ვესაუბრე! და არ მოგვკალი!.. ვერ მოგვკალი!..

— რას ამბობ? გაგიყდი?! — შესძახა თავმჯდომარემ.

— ვამბობ: არ მომიკლავს, ხელი გამოქვავდა რევოლუციაზე, რადგან ლენინი ჩვენი კაცია!

წამით სიჩუმე ჩამოვდა, მერე გაბრაზებამ იფეთქა:

— ლაჩარო! მშიშარავ!..

— მე რომ მშიშარა არა ვარ, ეს თქვენც იცით! აი, ეს ოთხი ნაკერი ჩემი ოთხი ჭრილობის ნიშანია... მე თქვენ ვეუკაცობას ვერ მასწავლით! მაგრამ ლენინი ჩვენი კაცია... იგი ხალხის ბელადია!

— მოლაღატე! — შესძახა თავმჯდომარემ.

— არა ვარ მოლაღატე! — ამაყად და მტკიცედ უპასუხა ტერორისტმა, — დღეიდან კი ლენინს ვერ ვუღალატებ!..

მკითხველო, ეს ეპიზოდი ჩემი შეთხზული არაა. იგი ლენინის ცხოვრებიდანაა და ოქტომბრის რევოლუციის ისტორიის ერთი ფურცელია. ლენინსა და ოქტომბრის რევოლუციაზე არაფრის შეთხზვა-გამოგონება არ შეიძლება...

სიმართლე და მხოლოდ სიმართლე!.. და ზოგიერთი ისტორიული ფაქტის გაცოცხლება...

მე, ამ მოთხრობის ავტორი, იმ ეპოქის შვილი ვარ... იარაღით ხელში ვიციადი ოქტომბრის რევოლუციის და ლენინის ისტორიულ საქმეს... მარად ცოცხალ საქმეს... ვეცადე, ეს ამბავი გამეცოცხლებინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავზე შენთვის და შენი შვილებისთვის!..

როდინი ქორქია

# უახვადრეაზი ლენინის

რუსულან ნიკოლაძის ბიოგრაფია იმდენად საინტერესო და მომხიბვლელია, რომ მას მარტო თავისი ბიოგრაფიით შეუძლია იამაყოს ჩვენი საზოგადოების წინაშე. იშვიათია ქალი, რომელსაც იმდენი საინტერესო შეხვედრები ჰქონდეს დიდ საზოგადო მოღვაწეებთან, რამდენიც რუსულან ნიკოლაძეს ჰქონდა რუსეთსა, ევროპაში თუ საქართველოში. რასაკვირველია ამას ხელი შეუწყო მამამისმა, 60-იანი წლების დიდმა საზოგადო მოღვაწემ და მოაზროვნემ ნიკო ნიკოლაძემ, რომლის გარშემო თავს იყრიდნენ მსოფლიოს დიდი მეცნიერები, მწერლები და პოლიტიკური მოღვაწეები. მის ოჯახში ხშირად გაცხარებული დავა და კამათი მიმდინარებდა ლიტერატურასა თუ მსოფლიო პოლიტიკის შესახებ. რუსულანი ბავშვობიდანვე უხმენდა მამის ოჯახში მათ და მომავალი სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის იწრთობდა.

ყველაზე უფრო ძვირფასი, როგორც ამას თვითონ რუსულანი ამბობს, იყო შეხვედრები ლენინთან, ჯერ კიდევ 1905 წელს უნევაში, შემდეგ კი დიდი ოქტომბრის ქარიშხლიან დღეებში პეტროგრადში, სმოლნის სასახლეში. რუსულანმა ლენინთან ამ შეხვედრებს „დაუვიწყარი დღეები და წუთები“ უწოდა, და მართლაც რა უნდა იყოს ამაზე უფრო ძვირფასი და სამახსოვრო ადამიანის ცხოვრებაში, ვიდრე შეხვედრა ლენინთან, ვინც შეარყია ძველი სამყარო, რათა აეშენებინა ახალი სოციალისტური საბჭოთა ქვეყანა.

მე წელს მიახლოვებულ რუსულან ნიკოლაძეს მესხიერება არ ღალატობს და ლენინთან შეხვედრების საინტერესო ეპიზოდების წვრილმან დეტალებსაც კი იგონებს.

— 1908 წლიდან, — ამბობს იგი, — ლენინმა თავისი „ისკრა“ ლონდონიდან უნევაში გადმოიტანა. ორ წელზე მეტი გაატარა ლენინმა ამქვეადა უნევაში (1908-1909) და ამან მე და ჩემს ძმას გიორგი ნიკოლაძეს ბედნიერება გვარგუნა თითქმის ორი თვე გაგვეტარებინა მის ახლოს, თითქმის ყოველდღიურ სხდომებზე უნევის ე. წ. არკის ნაწილში, სადაც მუშების უბანია მოთავსებული ტბის მახლობლად.

— მე და გიორგი ბედნიერები ვიყავით, — განაგრძობს რუსულანი, — რომ გვეღირსა ცოცხალი ლენინის ხილვა. და, მამასადამე, მოსმენაც და როგორც მოსმენა!

ჩერნოვს ახლად დაწყებული ჰქონდა თავისი მოხსენება, როცა ჩვენს უკან გაისმა ჩურჩული: ლენინი მოვიდა, ლენინი... იმ წამსვე კარისაკენ ვიბრუნეთ პირი და დავინახეთ ტანმორჩილი კაცი, ნათელი, გაბრწყინებული თვალებით და მხიარული გაღიმებული სახით.

ვილაციები წამოდგნენ, რომ ადგილი დაეთმოთ მისთვის, მაგრამ მან თითქმის და უარყოფის ნიშნად თავის გაქნევით ანიშნა — ნუ სწუნდებით, გმადლობთო, და იქვე, კართან ახლო დაჯდა პირველსავე თავისუფალ სკამზე. დაჯდა, სმენად იქცა და, ჩვენში რომ იტყვიან, იმერეთში, „წაუხდა საქციელი“ მომხსენებელს; წამით შეჩერდა, თვალები მიაპყრო შემოსულს და იქნება ეს ჩემი ფანტაზია იყოს, მაგრამ არა მგონია; მომხსენებელს მთლად შეეცვალა ტონი.

ჩერნოვმა მოხსენება დაამთავრა. ლენინი ჯერ სლუმდა. სხვებს დააცადა, „ახალ ისკრელებს“ და ანარქისტებს. შემდეგ კი ჩერნოვს შეეკამათა. სიტყვა ითხოვა თუ არა, იგი მართლაც ვეფხვივით ერთი ნახტომით გაჩნდა მომხსენებლის გვერდით. მაშინ კი ნათლად ვიგრძენით, რა ბუმბერაზი აღიმართა ჩვენს წინაშე ლენინის სახით.

მას აქეთ აბა რა გავაცდენინებდა ან გიორგის ან მე რომელიმე ემიგრანტულ შერკებას, სადაც ლენინის დასწრებაც იყო მოსალოდნელი და ვინაიდან ასევე იქცემოდნენ ჩვენი თანამემამულენიც, ლენინმა მალე უარადღება მიაქცია ჩვენს ფრთას და გამოლაპარაკება დაგვიწყო სხდომების შემდეგ. მათ შორის გვესაუბრა მე და გიორგისაც, რის გამოც ჩვენ, ცხადია, ბედნიერებისაგან მეშვიდე ცაზე ვგრძნობდით თავს. ის კი თავისთვის იღიმებოდა, მისთვის ჩვეული, სათნო ღიმილით, და ყველას თავისი აზრების გატაცებულ მიმღებრებად გვაქცევდა.

საინტერესოა მე და გიორგი როგორ მოვხვდით ლენინის თვალთა ხედვის არეში; ეს მოხდა „ისკრის“ სტამბაში, ზემოთ ხსენებული ხუთშაბათის მეორე თუ მესამე დღეს, გალდავას კუთხეში ვიშოვებოდი, ასოთამწყობის გავკეთილზე. უეცრად დარბაზში ლენინი შემოვიდა ჩვეული სწრაფი ნაბიჯით და პირდაპირ გალდავასთან მივიდა, ჩანს, რაღაცის სათქმელად. მაგრამ დაზვასთან გიორგი რომ დაინახა, მერე მე (უსაქმოდ ვიდექი), მის ცოცხალ და მეტყველ სახეზე გაკვირება აღიბეჭდა: — ამით რა უნდათ ჩვენს სტამბაში? — უსიტყვოდ შეეკითხა იგი თვალებით გალდავას. დაღმბტმა ძლიერ მოსწრებულად, ჩვენს სახარგებლოდ გამოიყენა ეს მუნჯი შეკითხვა.

— **Фамилия?** — მოკლედ იკითხა ლენინმა. — **Николадзе,** — უპასუხა აღელვებულმა გიორგიმ. — **Издатель «Обзора»?** — იმწამსვე შეეკითხა ლენინი და ამან ისე გავგოცა, რომ მეც ჩავერიე მათ საუბარში და ორივემ

ერთმანდ წამოვიძახეთ გაცემით, თითქმის ერთი და იმავე სიტყვებით: — **Откуда вы знаете?! ჩვენმა გაცემამ იგი გამხიარულა, გულიანად გაციონა, ორივეს ხელი ჩამოგვართვა (მისებურად მაგრად) და თან, თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა:**

— **Не знаю прошлого, нельзя овладеть будущим, да?** — თქვა და სამივეს მხიარულად გაღმოგვებდა და უეცრად შეგვეკითხა მე და გიორგის:

— **А вы знаете, что мы здесь книжку одну издали не так давно, куда и эта ваша газета попала из Грузии? И очень печатно попала (პლენხანოვის დაწერილი ყოფილა ის თავი).**

როგორც გამოიკვია, ეს იყო 1898 წელს აქ გამოცემული წიგნი. **«Материалы для характеристики положения русской печати», выпуск 1.** ლენინმა იქვე ბარათი მოგვცა უნევის ცენტრალური კომიტეტის სახელზე, რომ იქ ეს წიგნი ჩვენთვის ეჩვენებინათ. ბარათი წავიღეთ, წიგნი გვიჩვენეს, ის თავი იქვე წავგავითხეს.

... და აი, გავიდა 12 წელიწადი უნევაში ლენინთან რუსულან ნიკოლაძის შეხვედრის დღიდან და 1917 წელს დიდი ოქტომბრის ქარიშხლიან დღეებში რუსულანი ისევ ხვდება ლენინს პეტერბურგში სმოლნის სასახლეში. მაგრამ ხანდაზმულ მოხუცს, — როგორც თვითონ მითხრა, არ შეუძლია ალაღინოს ყველაზე საინტერესო ეპიზოდი ლენინის ჩამოსვლის პეტროგრადში და შემდეგ მისი მოსვლა სმოლნის სასახლეში. და ამიტომ გვთხოვა ვისარგებლო მისი წიგნით „დაუვიწყარი დღეები და წუთები“, სადაც აღწერილია შეხვედრები ლენინთან.

აი, როგორ აგვიწერს მსცოვანი მეცნიერი ამ ეპიზოდს თავის მოგონებაში: „თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს იყო ხალხის გულის ფეთქვა, მისი სულის ამოფრქვევა, რაღაც გრიგალისებური, რაც იმ დამეს მე პირველად ვხახე. ლენინი ხელში აიტაცეს და საითაც წაიყვანეს. თურმე ისინი მოედინდნენ შემოგვავანა ხალხს, ლენინი პირდაპირ ჩვენთან გამოიყვანეთო, და ახლა ამას სასრულედდენ. ჩვენ კი უკან მივდევდით.“

თურმე მოედანზე მდგარი ჯავშნოსანისაკენ მივბრდით, იქ მიჰყავდათ ლენინი კრონშტადტის მეზღვაურებს და ორ-სამ ჯარისკაცს. მეც მათ უკან მივდევდი, რომ ლენინის ყოველი სიტყვა გამეგონა...

მეორე დღეს თავრდის სასახლეში ლენინი უნდა მოხულიყო... და აი, შემოვიდა იგი მომცილებლებთან ერთად, ყველა შემხვედრ „ისპოლომელის“ ჩვეული ღიმილით ჩამოართვა ხელი; ირაკლი წერეთელს, მისალმებისას რაღაც უთხრა უნევაზე, მაშასადამე, იცნო. და არა მარტო ის, არამედ — ეს კი ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, — მეც მიცნო! როდესაც კარლო ჩხეიძემ იგი ბულრუგანებთან მოიყვანა, სასახლის შემოტარების დროს და ჩვენზე მიუთითა (მის შესახებ რად თავმოყრილ ტელეფონელთა ჯგუფზე), განმარტებით:

— **Вот это — ваш будущий телефон, Владимир Ильич, а это наши телефонистки.**

ლენინი ჯერ ყველას ერთად მზიანად მოგვესალმა, საერთო თვალის გაღმოვლებით, მერე უეცრად მე მომაცქერდა, ყველაზე უკან მიმალულს, ხელი გამომიწოდა, ღიმილით და ნახევარ შეკითხვით:

— **Мы кажется встречались?**

— **Неужели вы...** — დავიწყე მე გაცემით, მაგრამ მან უეცრად ირაკლის შეხედა, მერე ისევ მე მომიბრუნდა:

— **В Женеве...**

სიტყვები არ გეყოფა ჩემი ბედნიერების და გაცემის ახაწრად. მთელი ის დღე გუფივით დავდიოდი. მით უმეტეს, რომ ჩხეიძემ მას ჩემი თავი კიდევ დამატებით წარუდგინა.

— **А это наша старшая телефонистка...**

რუსულან ნიკოლაძე ლენინის არა მარტო ტელეფონისტი იყო, არამედ ის აგრეთვე არჩევდა სმოლნის სასახლეში ლენინის სახელზე მიღებულ განცხადებებსა და წერილებს და შემდეგ სათანადო მოხსენებით წარუდგენდა ხოლმე ლენინს. ერთხელ რუსულანმა რამდენიმე გადარჩეული წერილი მიაწოდა ლენინს, მაგრამ ამბობს რუსულანი, — „ლენინმა არც ჩემს გავწილ ხელს და არც ფურცლებს მიაქცია ყურადღება, ფართო ღიმილით პირდაპირ მარცხენა ჯიბეში ჩამიყო ხელი და ჩემს მიერ გადამალული ყველა წერილი ამოიღო. მე, ცხადია, საშინლად ავღელდი და არც კი მახსოვს, რას ვიძახდი:“

— **Ой, это не то... это... это...**

ლენინი კი ფანჯარასთან მიდგა და მხიარული სიცილით ხმამაღლა წაიკითხა მთელი ეს ლანძღვა და კრულვა; ყველა ის ფურცელი უბის ჯიბეში ჩაიწყო და მაგდალასთან დაბრუნდა. ხელი იმ უბის ჯიბეზე დაიკრა და მხიარულად მომამახა:

— **Вот где интересный материал. Эх вы! Вот где результаты обмана отравления умов.**

კარგი გაკვეთილი მივიღე იმ დღეს, და მას შემდეგ უკვე უზუსტად მოვასხენებდი ხოლმე მიღებული წერილების შინაარსს.

რუსულან ნიკოლაძეს დღეს შეუძლია იამაყოს ჩვენი საზოგადოების წინაშე, ვინაიდან ის ერთადერთი ქალია საქართველოდან, რომელმაც ნახა ოქტომბრის რევოლუციის დიდი ბეღალი — ლენინი.

თინა ჩიხომიძე.



# ქველვის

## ბასნისა...

**მერაბ ორახელაშვილი** ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების მამია და მარიამ ორახელაშვილების შვილია. იგი იყო სახელმწიფო მეცნიერი, მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი; მან დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა ტურბინათმშენებლობისა და ტუმბოთმშენებლობის განვითარებაში. მერაბ ორახელაშვილის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შექმნილი მანქანა-დანადგარები დღესაც წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკაში. მერაბ ორახელაშვილის როგორც მოქალაქისა და მეცნიერის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს იმ გამოჩენილმა მოღვაწეებმა, რომლებსაც იგი შეხვდა და ურთიერთობა ჰქონდა თავისი ღრმად შინაარსიანი ცხოვრების მანძილზე. ამ შეხვედრებით მიღებული შთაბეჭდილებანი საფუძვლად დაედო მის მეტად საინტერესო მოგონებებს, რომელთაგან ერთ-ერთს ვთავაზობთ მკითხველს.

უსტად აღარ მახსოვს, სად და როდის ვნახე პირველად სერგო ორჯონიკიძე, ერთი რამ კი მტკიცედ ვიცი: იგი თავისი ენერგიით, შრომისუნარიანობით, საქმიანობითა და უშრეტო ოპტიმიზმით ყველას აცუცებდა. საკმარისი არ არის ითქვას, რომ მისი სიცოცხლის ყოველი წუთი ეკუთვნოდა რევოლუციას, საბჭოთა სახელმწიფოს, პარტიას. ყველა, ვისაც კი უხდებოდა მასთან ურთიერთობა, ხშირად თავისდა უნებურად ებმებოდა ასეთივე დინამიკურ საქმიანობაში და იძულებული ხდებოდა გამოეჩინა მთელი თავისი უნარი და შესაძლებლობანი.

საკმარისი იყო შეემჩნია ვინმესთვის, რომ აქვს პოტენციური შესაძლებლობა ხელი შეუწყოს წარმატებას, პროგრესს პარტიული ან საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, წარმოების ორგანიზაციისა თუ სხვა დარგებში, ორჯონიკიძე უკვე აღარ უმეგბდა მას თავისი გავლენის სფეროდან, მარჯვდ წარმართავდა მის საქმიანობას, თუ საჭირო იყო, ეხმარებოდა. ზოგჯერ შეცდომებისა და ნაკლოვანებებისათვის გაგვიცხავდა კიდევ, მაგრამ ამას საოცრად „აღამიანულად“, ძალზე გასაგებად აკეთებდა, ისე, რომ გული არ დაგწყვეტოდა. ასეთი „დამუშავების“ შემდეგ, ჩვეულებრივ, გინდოდა მეტი და გაცილებით უკეთ გეუშვა.

სამაგიეროდ, გვარაიანად ხედებოდა მისგან ზარმაც, მხდალ და უნაათო მუშაკებს, რომლებსაც სერგო მყისვე ამჩნევდა ხოლმე, ისევე როგორც მტრულად განწყობილ პირებს. მას უამრავ ხალხთან უხდებოდა ყოფნა და ყველას აღანთებდა თავისი ენთუზიაზმით, საბჭოთა სამშობლოს სიყვარულით.

1935-36 წლებში მე, მოსკოვის მ. ი. კალინინის სახელობის ქარხნის ჯერ კიდევ ახალგაზრდა კონსტრუქტორი, ოთხ თვეს ვიყავი საზღვარგარეთ ინჟინერთა ჯგუფის შემადგენლობაში. ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვსწავლობდით პიდრომანქანათმშენებლობას. მივლინების დროს დავრწმუნდით ამერიკული ცენტრიდანული ტუმბოების უპირატესობაში ევროპული კონსტრუქციების წინაშე, რომლებიც ადრე საფუძვლად დაედო სსრ კავშირში ტუმბოთმშენებლობის ორგანიზაციას.

სამშობლოში როცა დავბრუნდით და ანგარიში შევადგინეთ მოგზაურობის შესახებ, ჩვენ დავისახეთ თამაში, მაგრამ ჯერ კიდევ ბუნდოვანი გვემები, თუ როგორ დავგვეპროექტებინა და დავგვეშაადებინა ახალი ტიპის ტუმბოების ორი-სამი ნიმუში.

1936 წლის ზაფხულის ერთ-ერთი დასვენების დღეს ორჯონიკიძის აგარაკზე მიმიწვიეს, სადაც სტუმრებს შორის ინჟინრები და მეცნიერები ჭარბობდნენ. მათ შორის იყო აკადემიკოსი ბარდინი, მასთან განიხილავდნენ იმ მეტალურგიული ქარხნების რეკონსტრუქციის საკითხს,

რომლებიც სერგოს ამ ცოტა ხნის წინ დაეთვალისწინებინა; მოწვეული იყო აგრეთვე გორკის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი „მ-1“ მარკის მსუბუქი ავტომობილის წარმოების საკითხებთან დაკავშირებით, რომლის გამოშვება ახალდაწყებული გვექონდა, და მრავალი სხვა. ყოველ მათგანს ან ამხანაგთა გჯუფს, ორჯონიკიძე გარკვეულ დროს უთმობდა, მათთან ერთად დასეირნობდა პარკში, ამ დროს დანარჩენებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეზიარებინათ აზრი და უკეთ გაეცნოთ ერთმანეთი იმავე ბაღში ან აგარაკის შენობაში.

დადგა ჩემი ჯერიც. სერგომ დაწვრილებით გამომიკითხა ყოველივე, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ვნახე, მაძლედა კითხვებს, რომლებიც მემხარებოდნენ უკეთ გამეზარებინა ფაქტები და ამბები. მერე მკითხა, როგორ აპირებთ შექმნილი გამოცდილების ქარხანაში გამოყენებასო. ჩემი პასუხებიდან მისვდა, რომ ჩვენ, წარმოების მუშაკები, ეგვებისა და გაუბედაობის ტყვეობაში ვართ მოქცეული და გვაშინებს კიდევ რთული ტექნიკური ამოცანები (არადა, ეს ამოცანები, მართლაც, რომ ძალზე ძნელი იყო). ამიტომ ახალი კითხვა მომცა: „რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ რაც შეიძლება მალე, დიდი-დიდი ორ წელიწადში, ახალი კონსტრუქციებით შეიცვალოს ქარხნის მთელი ტუმბოების პროდუქცია?“. თავდაპირველად ვერც კი მივხვდი, რას მეკითხებოდა, ისე წარმოუდგენლად ძნელი მეჩვენა ეს ამოცანა (როცა ქარხანაში უკამბე, სხვებიც განცვიფრდნენ).

გავიდა რამდენიმე კვირა. სერგო ხშირად გვირგავდა, მეკითხებოდა, რა კეთდებოდა ქარხანაში ამ საკითხზე. ჩვენ ბევრს ვმუშაობდით, ვმსჯელობდით საკითხის გადაწყვეტის გზებზე და, ბოლოს, დაასრულეთ ერთი თვის შემდეგ, ქარხნის თანამშრომელთა დიდი ჯგუფი მიგვიწვიეს ორჯონიკიძესთან მიღებაზე, სადაც ჩვენი გგმა საფუძვლიანად შეცვალეს და ისე დაამტკიცეს.

მანამდე, სტახანოველთა საკავშირო თათბირზე ერთ-ერთი გამოსვლის დროს, სერგომ ჩემთან საუბარი ახსენა და ამით „მოგვისია“ გაზეთის მუშაკები, რომლებიც არ მომეშენენ, სანამ არ დამაწერიან სტატია გაზეთში „ზა ინდუსტრიალიზაციუ“. ასე გაგვაშუქებინეს ჟურნალისტებმა ქარხნის სამუშაოები და მოგიჭრეს უკანდასხვის ყოველგვარი გზა (სიტყვამ მოიტანა, ჟურნალისტებმა ყოველთვის ასე იციან ხოლმე).

დეტალურად აღარ მოგვყვები, ვიტყვი მხოლოდ, რომ 1937 წლის თებერვლისათვის ქარხანამ ახალი კონსტრუქციის ოთხი სხვადასხვა ტუმბოს ნიმუში დაამზადა. მათ ცხადვეს სსრ კავშირისა და ევროპისათვის რეკორდული მარგი ქმედების კოეფიციენტი, თან გაცილებით ნაკლები იწონიდნენ, ვიდრე ძველი ტუმბოები. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი თვალით ვნახე, როგორ ხართბდა და გვიწონებდა მუშაობას გამოჩენილი ადამიანი, კაცი, რომელიც სულ რამდენიმე დღეში გარდაიცვალა...

ისღა დამჩენია დავძინო, რომ მ. ი. კალინინის სახელობის ქარხნის მთელი პროდუქცია 1937-38 წლებში განახლდა, რამაც ხელი შეუწყო სსრ კავშირის ყველა ტუმბოს ქარხნის გადასვლას ახალ ტიპზე და ჩვენი ტუმბოების მრეწველობა დააყენა იმხანად ყველაზე მოწინავე ამერიკის მრეწველობის დონეზე.

როცა ამ საკითხის მთელი ისტორია მახსენდება, უნებურად მებადება ასეთი აზრი: თუ მაშინ ორჯონიკიძის აგარაკზე მოწვეულმა სხვა პირებმაც, თითოეულმა თავის დარგში, რაღაც ჩვენი სამუშაოს მსგავსი გასწიეს (ამაში ეჭვი არ მეპარება), რა დიდი საქმე გაუკეთებია სერგოს ამ ერთ დასვენების დღეს. აი, მართლაც, რომ კარგი ხერხი დასვენებისა! სუფთა ჰაერზე, აგარაკზე, მრავალი მეგობრის გარემოცვაში, გულახდილი საუბრები, რომლებიც გამსჭვალული იყო მშრომელებისადმი, სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულით.

**მერაბ ორახელაშვილი**

### ვალერიან მეთუნარბია

ვალერიან მეთუნარგიას სახელი და დიდება ჩვენში არც ადრე აკლდა, მაგრამ იმ სამახსოვრო დღეს, მოსკოვში შეკრებილ დიად დღესასწაულზე — სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიონზე, ზუგდიდის რაიონის ინჟინრის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სახელგანთქმული მექანიზატორი — ვალერიან მეთუნარგია ცნობილი გახდა მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ტრიბუნლიდან ლაპარაკობდა საქართველოდან წარგზავნილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, მექანიზატორი ვალერიან მეთუნარგია; ლაპარაკობდა ნათელი და გასაგები ფრაზებით. მთავრობისადმი, მშობლიური ხალხისადმი

სიყვარულით იყო გამოთბარი ქართველი მეჩაიის სიტყვა. დეპუტატ ვ. გ. მეთუნარგიას მიერ გამოთქმული წინადადება „კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ საბჭოთა სახელმწიფო ახალინებს ნოვატორობას, შემოქმედებითს დამოკიდებულებას შრომისადმი, რომ იგი ორგანიზაციას უწევს გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვას სახალხო მეურნეობაში“, უურადილეს სესიონზე და კონსტიტუციის პროექტში საჭირო დამატებებთან ერთად შეტანილ იქნა.

ამან სიხარულით ადავსო ქართველი მეჩაიეს გული, ძალა შემატა. შინ დაბრუნებულმა ვალერიანმა კვლავ ჩაის პლანტაციებს მიაშურა.

სახელგვანი მეჩაიე ახალ-ახალი მაჩვენებლებით, სასახელო შრომითი მიღწევებით შეეგება საიუბილეო ისტორიულ წელს.

**ჯინაბა ჰლანტი**

ფოტო მასალა ვალერიან მეთუნარგიაზე იხილეთ ჟურნალის ამავე ნომრის ჩანართში.





# მეტროპოლიტენი



- საექსკლავატორო გვირაბში.
- სადგურ „კომკავშირელის“ მოპირკეთება მარ-მარილოს ფილებით.
- მწვანე გზა.
- ვ. გოცირიძე მეტრომშენებლებთან.
- მშენებარე სადგური „დედისი“.
- მეტროპოლიტენის სადგური „რუსთაველი“.

ვიტორ ჯაბრანელის ფოტო



თბილისი ახლა ძნელი წარმოსადგენია მეტროს გარეშე.

ჩვენი დედაქალაქის მშრომელები ამ სწრაფი, იოლი და ყოველმხრივ მოხერხებული ტრანსპორტის სიკეთით 1966 წლის 11 იანვრიდან სარგებლობენ.

ამ დღეს მწყობრში ჩაღვა თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის პირველი უბნის 6,2 კილომეტრიანი ტრასა სადგურ „დიდუბიდან“ სადგურ „რუსთაველის“ მოედნამდე“.

პირველი რიგის მთლიანი მშენებლობა 1971 წელს დამთავრდა. ცისფერმა ექსპრესებმა მგზავრების გადაყვანა დაიწყეს 12,5 კილომეტრიანი მიწისქვეშა მაგისტრალზე სადგურ „დიდუბიდან“ — „სამგორამდე“.

თბილისის მეტროპოლიტენის 11-მა მიწისქვეშა სადგურმა, რომლებიც მოძრაობის გრაფიკის ზუსტი დაცვით მუშაობენ, შარშან 115 მილიონზე მეტი მგზავრი გაატარეს. საიუბილეო წლის ბოლომდე

ცისფერი ექსპრესები 117 მილიონ 600 ათას მგზავრს გადაიყვანენ.

მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის შემდეგ თბილისი საბჭოთა კავშირში პირველი ქალაქი იყო, სადაც მეტროს მშენებლობა დაიწყო.

ჩვენი დედაქალაქისათვის დამახასიათებელი კლდოვანი გრუნტი, მიწისქვეშა ე. წ. აგრესიული წყლები, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა მეტად რთულ და მძიმე პირობებს ქმნიდა მუშაობისათვის.

ამ სიძნელეებს გვირახბამყვანებმა მონდომება, საქმის სიყვარული, გაუტყეხელი შემართება და თავდადება დაუპირისპირეს.

თბილისის მეტროს მშენებლებს საიმედო დასაყრდენად ამოუდგა მხარში გამოცდილი სპეციალისტი, მეტროპოლიტენის ძველი მშენებელი ვიქტორ გოცირიძე.

„თბილგვირახმშენის“ სამმართველოს დღევანდელმა უფროსმა ვიქტორ გოცირიძემ ცხოვრების ფართო და ნათელი გზა განვლო.

იგი თექვსმეტი წლისა იყო, როცა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საგზურით რაჭის მაღალმთიან სოფელ ხოტევიდან მოსკოვში გააგზავნეს სასწავლებლად.

ვიქტორ გოცირიძემ ჯერ მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მუშაობა ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ კი მოსკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტი.

ვიქტორის ძმა ილია გოცირიძე იმ ხანებში მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობის უფროსად დანიშნეს.

გოცირიძეების ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მოსკოველი მეტრომშენებლები. მიწისქვეშა მშენებლობაში ისე დაინტერესდა და გაიტაცა ვიქტორი, რომ ჯერ კიდევ მეხუთე კურსზე სწავლის დროს მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი ცვლის უფროსად დააწინაურეს.

ეს გატაცება, შექმნილი ცოდნა, მდიდარი გამოცდილება ვიქტორ გოცირიძეს თბილისის მეტროს მშენებლობაზეც ჩამოჰყვა.

იგი, როგორც გამოცდილი სპეციალისტი, თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის დაწყებისთანავე „თბილგვირახმშენის“ სამმართველოს უფროსის მოადგილედ მოიწვიეს, 1957 წლიდან კი ამ სამმართველოს უცვლელი უფროსია.

მარტო მეტროს მშენებლობა რაღაც ვიქტორ გოცირიძისა და მთელი კოლექტივის ერთადერთი საზრუნავი.

ჩვენმა გვირახმშენებლებმა წლების მანძილზე თბილისისა და რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში სახალხო მეურნეობისთვის უაღრესად საჭირო მრავალი ობიექტი ააგეს.

მათი ხელით აშენდა მრავალი საყრდენი კედელი, მიწისქვეშა გადასასვლელები, საავტომობილო და ჰიდროტექნიკური გვირაბები; ააგეს ხიდები, საუწყებო და საცხოვრებელი სახლები, სკოლები, მიწისქვეშა მარანი, ხილსაცავი, კავკასიონის მთავარ ქედზე გაყავთ როკის საავტომობილო გვირაბი...

ათონის კასტრული გამოქვაბულის კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის ვიქტორ გოცირიძეს, სხვა თანამოსამშენებთან ერთად, ახლახან სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

მეტროს მშენებლობა კვლავ მიიწვიეს წინ. საბურთალოს მიმართულებით მომავალი წლის ბოლოს მწყობრში ჩადგება მეორე რიგის ექვსკილომეტრიანი მიწისქვეშა ტრასა, რომელიც ექვს სადგურს გააერთიანებს.

უკვე აპროექტებენ მეტროს ახალი მაგისტრალის მშენებლობას სადგურ „დიდუბიდან“ გლდანის დასახლების მიმართულებით და სადგურ „სამგორიდან“ — ვარკეთილამდე.

დიდი ოქტომბრის სახელობის მეტროპოლიტენის ფოლადის მაგისტრალზე გამთენიიდან გვიან ღამემდე დაქრიათ ცისფერი ექსპრესები.





გამოსატა კარლ მარქსმა პარიზის კომუნის ბარკადებზე დაცემულთა უკვდავება.

— თქვენ პოეტი ბრძანებულხართ, ბატონო დავით! და კიდევ ტრფიალი მშვენიერებისა.

— რევოლუციონერი ვარ. და მშვენიერება — ეს რევოლუციასაა. „აჯანყებისადმი, როგორც ხელოვნებისადმი დამოკიდებულებაზე უარის თქმა ნიშნავს უღალატო მარქსიზმს, უღალატო რევოლუციას“ — წერდა დიდი ლენინი. ჩემი ხანგრძლივი რევოლუციური მოღვაწეობის პერიოდში მრავალჯერ ჩასულა მზე, მაგრამ ყოველ განთიადს თან მოჰყოლია ახალი იმედები, ყოველ განთიადზე დაბადებულან ახალი გმირები, რომლებმაც დიდების ფურცელი ჩაუწერიათ რევოლუციის მდიდარ ისტორიაში.

თან მიზნობა: ნუ დამძრახავთ, მოვხუცდი, ემოციებს ვეღარ ვუმკლავდები...

ეგებ რაიმე მხიარული ეპიზოდი გაიხსენოთ-მეთქი, ვთხოვე.

დავით ლომაძე ერთი წუთით დაფიქრდა. მერე თვალმხედრად აუციციმდა: 1918 წლის ერთი მზიანი დილის ამბავს ვიამბობთ.

— სტოლინის რეაქციის აღმავლობის პერიოდში ჭიათურაში შავი ქვის მალარობის 10 000 მუშამ 1905 წლის რევოლუციის შემდეგ პირველი საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა. პატარა ქალაქის ეს მოულოდნელი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო არა მარტო რუსეთის იმპერიას, არამედ მთელ ევროპას, სადაც ფეხს იყიდებდა აზრი, რომ რუსეთის რევოლუცია ბარე ათეული წლების განმავლობაში ვეღარ წამოიღებდა.

ნეცი მგელივით: დაძრწოდა, თვალს აცეცებდა, ოდნავ ექვშობა-ნილს დაუყოვნებლივ აპატიმრებდა.

უცებ ჩოჩქოლი ატყდა, რომელიც თავშეუკავებელ, აღტაცებულ სიტყვებით გადიწარდა. დადნეცი გაოგნებულად აკვირდება უზომოდ გამხიარულეულ ხალხს. ესმის შეძახილები: პროკლამაცია! აი, ყოჩაღ, ბიჭებო, თქვენ გიცხონდათ ხელები!

აღანეცი დაიბნა. ციბრუტივით დატრიალდა ადგილზე, რითაც კიდევ უფრო მეტი მხიარულება გამოიწვია. უცებ მასთან ერთ-ერთი უანდარში მიიჭრა: — თქვენო კეთილშობილებავ! პროკლამაცია...

— სად არის?! — ყვირის გაცოფებულად აღანეცი.

# იქსანო ქანა სიჭითს!

დიდი, ნათელი ოთახი სავსეა მზით, ფერთა საოცარი გამოთა და მხატვრის ჯადოსნური ფუნჯით ტილოებზე გადატანილი პოეზიითა და მუსიკით.

— ბატონო დავით, საიდანა გაქვთ ეს სიმდიდრე? — ვეკითხები მას-პინქელს.

— თავად ლაღო გუღიაშვილის ნაჩუქარია. აი ამ სურათმა — „ტბასთან“ პარიზში პირველი პრიზი მიიღო; ეს შიშველი ქალღმერთი „შავ მდინარესთან“ ადრე მუქი წამოსახამით იყო დაფარული, მერე ჩემი დაჟინებული მოთხოვნით მე და ლაღომ ერთად ჩავატარეთ „სარესტავრაციო“ სამუშაო და დღის სინათლეზე გამოვიყვანეთ იგი; ეს ცნობილი სურათი „ნადავლია“, ეს კი ავთანდილია: „რა ესმოდათ მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“, როგორია?

მშვენიერია-მეთქი, ვპასუხობ გუღიაშვილის სურათებზე მეტად მას-პინქლით გაცეცხული და აღტაცებული.

— როდის და საიდან გაჩნდა მშვენიერება? ალბათ სიცოცხლესთან ერთად დედამიწაზე, რადგან არ არსებობს სიცოცხლე მშვენიერების გარეშე. იგი ყველგანაა ჩვენს გარშემო: იგი ცაშია — მის სილამაზადეში, მის დაისსა და აისში; იგი მიწაზეა — დედაბუნების ყოვლისშემძლე ხელით შექმნილ სამყაროში; იგი ადამიანშია — მის ზეშთაგონებულ სულსა და ამავე მემამობე გონებაში; იგი აჯანყებაშია — თავისუფლების, თანასწორობის, სიცოცხლის ზეიმისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში მშვენიერება თვით სიკვდილშია, თუ სიცოცხლე ადამიანის უკეთესი მერმისის სამსხვერპლოზე მიტანილი. „გმირთა სიკვდილი მზის ჩასვლას უდრის“, — ამ სიტყვებით

ამას ამბობს დავით ლომაძე, კაცი — ლეგენდა, რომელმაც გურიის ერთ პატარა სოფელ ძიმიტში პირველად გაიგონა სიტყვა რევოლუცია; ვისაც ბავშვობაში არ აძინებდა ნასაკირალის აჯანყების ექო; ვისაც ჭიათურის არალეგალურ სტამბაში თავისი ხელით აუწყვია კობა ჯუღიაშვილის მიერ შედგენილი პროკლამაცია; დავით ლომაძე, ეს ის კაცია, რომელმაც ნახა და მოუხმინა ლენინს; ვისაც უბრძოლია ევროპის ბარკადებზე; ვინც ესპანეთის ცეცხლმოღებულ მიწაზე აღთქმით შეკრულა გერმანელ ძმადნაფიცთან: თუ მე დავიღუპეო ადრე — შენ დამძარბე, თუ შენ დაეცე — მე მიგაბარო მიწას! ვინც ტელმანის თანამებრძოლი იყო; ვინც 1924 წელს გერმანიის საერთო აჯანყებაში მონაწილეობისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დააჩილდოვა ორდენით — „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის“. და როცა დავით ლომაძე — ვილჰელმ გროსმიდტად წოდებული, სცენაზე აიყვანეს ორდენის გადასაცემად, დარბაზიდან გაისმა ათრობილებული ხმა: — ვილი, ეს შენა ხარ?!

...იღვანე ძმადნაფიცები, რევოლუციის ქართველი და გერმანელი ჯარისკაცები, ერთმანეთს მკერდზე უბაგუნებდნენ აკანკალებულ ხელებს და ჩურჩულებდნენ: არც შენ დამძარბე, არც მე მომიწია ამ გულზე მიწის მიყრა. ჩვენ ცოცხლები ვართ, ჩვენ ხალხი თავისუფალი და ბედნიერია...

გადაქედილი დარბაზი ფეხზე იდგა და ცრემლმორეული, სულგამქნდილი შესკვეროდა ორ ატირებულ ქალკა კაცს. ამ მოგონებით გულაჩუყებული ბატონი დავითი ახლაც იცრემლებდა,

წელს. და უცებ ჭიათურამ დაანახა მსოფლიოს, რომ რევოლუცია კი არ მომკვდარა, ჭრილობებს იშუშებს და ახალი ბრძოლებისათვის მზად არის. ამ ამბავს „ბალკანეთის ომის შემდეგ მეორე მსოფლიო მოვლენა“ უწოდებს.

ადვილი წარმოსადგენია რა სიტუაცია იქნებოდა ჭიათურაში. ქუთაისის გუბერნატორმა თავისი რეზიდენცია ჭიათურაში გადმოიტანა და გაფიცვის საწინააღმდეგო ოპერაციებს თავად ჩაუდგა სათავეში. ქალაქში შემოიყვანეს სპეციალური ჯარის ნაწილები, რომლებსაც მალე დონის მხარის კაჟაყთა „პლასტუნები“ დაემატნენ. წარმოუდგენლად გაიწარდა როსტოვიდან, ოდესიდან, ბაქოდან ჩამოყვანილ უანდარშთა რიცხვი, რომელთაც ცნობილი ჯალათი აღანეცი მეთაურობდა

და ამ დროს ჭიათურაში გამოჩნდა პირველი პროკლამაცია!

ეს იყო მების გავარდნა: ესე იგი ცხრა წლის წინათ კობა ჯუღიაშვილის მიერ ჩამოტანილი სტამბა ისევ არსებობს და რევოლუციის სამსახურშია?!

აღანეცი და მისი დამაქუები დღე და ღამე ასწორებენ, ქვესკნელში ძვრებიან, ჩხრეკენ, ეძებენ, შიშველი ხმლების პირით ფხეკენ პროკლამაციებს. მაგრამ ამოღ: ვერც სტამბას პოულობენ, ვერც საბრძოლო ფურცლებთან თავმოყრილი ხალხის გაფანტვას ახერხებენ.

ჰოდა, იმ ერთ მზიან დილას-მეთქი, რომ მოგახსენეთ, ჭიათურის ვაგლის ბაქანი მატარებლის მოლოდინში ზღვა ხალხით იყო სავსე. აღა-

— თქვენ გაკრიათ ზურგზე, — შეშინებული პასუხობს უანდარში.

ამის გაგონებაზე აღანეცი ადგილს მოსწყდა და სამორიგოსაკენ გაიქცა. მის ლურჯ მუნდირზე განსაკუთრებით ლამაზად და მკაფიოდ ჩანდა ჩემი აწყობილი პროკლამაცია.

მეორე დღეს შავი ქვის მტვირთავმა მუშამ ვალიკო ჩუბინიძემ მომძებნა: ჯიბო აბაშიძემ სამი მანეთი მაჩუქა იმ პროკლამაციისათვის — ერთი ბოთლი ღვინო დამილიეთ ჩემს ანგარიშშიო და უშენოდ ყელში როგორ გადამივა, წავიდეთ თითო ჭიქა წავუქციოთო აღანეცს.

ახლა ამ ამბავს სიცილით ვიგონებთ, გვახიარულებს რევოლუციით ანთებული მუშების იუმორით სავსე მოქმედება, რომელიც გმირობას უდრიდა და რომელიც ერთი პატარა ნაპერწკალი იყო იმ დიდი კოცონისა, 1917 წელს რომ აგიზგიზდა და მოედლო ჩვენს ქვეყანას.

დღეს უკვე 60 წელი გვაშორებს დაუფიწყარ რევოლუციურ დღეებს. ძველი ბოლშევიკები თავიანთი მოგონებებით იმ დღეებს გვიბრუნებენ ჩვენ, რომ ცოცხლობდეს ხსოვნა, რომ ცოცხლობდნენ იდეალები, რომ დღესაც ყველამ იგრძნოს კავშირი გმირულ წარსულთან, რომლიდანაც წარმოიშვა აწმყო და დაიბაჯება მომავალი — უფრო ნათელი, უფრო მზიანი, კაცობრიობის მაღალი იდეალებით გაბრწყინებული.

— იჩქარე ქმნა სიკეთისა! — ამბობს დავით ლომაძე, — რადგან იგია სათავე სიცოცხლისა დედამიწაზე.

ლაპარა თელინა



- პარტიული კრება ინგირის საბჭოთა მეურნეობაში.
- ვ. მეუნარგია ზუგდიდის პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა შორის.
- დილა ჩაის პლანტაციაში.
- სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. მეუნარგია.
- ვ. მეუნარგია ესაუბრება თავის ამომრჩეველს — 92 წლის სოლომონ გვასალიას.

ალექსანდრე სააკოვის ფოტო.



# მეუნარგია



ჩემი ქვეყნის ოქროყანა.

მხატვარი რ. ობერტ სტურუა

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ღიდი ოქტომბერი ჩემთვის ყველა იდეალების, პროგრამების, მანიფესტების საზომი, პროგრესის საიველო მიმართულების მანიფესტაციის კომპა-სი გახდა...

ჩემმა სამოცდაათწლიანმა ცხოვრებამ მტკიცე რწმენამდე მომიყვანა: როდესაც მუშათა კლასი, ყველა კეთილი ნების ადამიანებთან კავშირში, ენერჯის მიმართავს რეგრესის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ომების აცილებისათვის, მხოლოდ ლენინის იდეებია შემძლე გამარჯვებამდე მიიყვანოს იგი. სხვაგვარი გზა, სხვაგვარი აზრი არ არსებობს.

### ბრუნო ფრეი (აპსტრი)

ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში დღევანდლამდე — ესაა პირველი მუშათა მთავრობის შექმნა. ის, რომ პირველმა ცდამ 15 წელი გაძლო, ჩემს ყველაზე გაბედულ იმედებსაც კი გადააჭარბა.

### მატონ სინკლერი

ოქტომბრის რევოლუციას მე ვთვლი როგორც ისტორიის ერთ უდიდეს შემთხვევათაგანს. მან მთელი მსოფლიოს იდეოლოგია ძირფე-

სვიანად შეცვალა. ყველა გამოსული რომანი, პიესა, პუბლიცისტური და ისტორიული შრომა მისი გავლენით დაიწერა. ბევრად უფრო ღრმა და ფართოა მისი გავლენა, ვიდრე პირველი ფრანგული რევოლუციისა.

### პირბერტ უელსი

რევოლუცია, რომელიც მოხდა რუსეთში, კარგა ხანია სწორედ ამ ქვეყანაში იყო მოსალოდნელი. დიდი ხანი ემზადებოდნენ მისთვის. რამდენი ცნობილი და უცნობი ადამიანი სწირავდა სიცოცხლეს, ითმებდა აუტანელ ტანჯვას.

ჩვენს დროში რუსეთის რევოლუციის ლოზუნგები მთელი მსოფლიოს ლოზუნგებად იქცა. ახლა დედამიწაზე მხოლოდ ერთი ხალხია, რომელიც არა მარტო თავის ეროვნულ, არამედ ყველა ხალხების ინტერესებზე ფიქრობს.

### რაბინდრანთ თაგორი

შეხედეთ აღმოსავლეთს! თითქოსდა რუს ხალხს ცარიზმის სიბნელიდან გამოსავალი არ ჰქონდა. რევოლუციის, მით უმეტეს, გამარჯვებული რევოლუციის იმედი არ იყო.

მაგრამ რუსეთი — ქვეყანა სადაც შეუძლებელიც კა ასრულდება. ახლა ბოლშევიკები ამ შეუძლებელს სხადიან და დაასრულებენ კიდევაც, ბოლომდე მიიყვანენ მას.

### ანატოლ ფრანსი

...ეს რევოლუცია თანამედროვე ევროპაში ყველაზე ძლიერს და ყველაზე ნაყოფიერს, თავისთავად უდიდეს სოციალურ გაქანებას წარმოადგენს. თუკი რევოლუცია დაიღუპება, ეს მსოფლიო პროლეტარიატს მიიყვანს არა მარტო დამონებამდე, არამედ ყოველი სოციალური და ინდივიდუალური თავისუფლების დათრგუნვამდე.

...პროლეტარული რევოლუცია მაშინვე სათავეში ჩაუდგა დიქტატურას პროლეტარიატის სახელით გამარჯვებისათვის, ახალი წყობის შექმნისათვის.

### რომენ როლანი

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ დაადგინა როგორც პრინციპი, რომ ადამიანს შეუძლია და უნდა იყოს ბედნიერი დედამიწაზე, ადამიანს შეუძლია და უნდა მიაღწიოს

თავის ბედნიერებას, თუნდაც მხოლოდ ბრძოლის ფასად.

პირნანდ სოუ

...საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დროშა კაცობრიობის განმათავისუფლებელი წითელი დროშაა.

### ანრი ბარბუზსი

ჩვენ უნდა ვიფიქროთ მომავალზე, ლენინის მნიშვნელობაზე მომავლისათვის, ისეთი მომავლის მნიშვნელობაზე, რომ თუ ლენინის წამოწყებული გამოცდილება — სოციალიზმის გამოცდილება — არ გაამართლებს, მაშინ თანამედროვე ცივილიზაცია ისევე დაიღუპება, როგორც უკვე ბევრი ცივილიზაცია დაიღუპა წარსულში... თუ სხვები ლენინის მეთოდებს მიბაძავენ, მაშინ ჩვენს წინ გაიღება ახალი ერა და ჩვენ დანგრევა და დაღუპვა არ დაგვემუქრება. ჩვენთვის დაწყება ახალი ისტორია, ისტორია, რომლის შესახებ ახლა ჩვენ წარმოდგენაც არა გვაქვს. თუკი მომავალი ლენინისაა, მაშინ ჩვენ ეს უნდა გვიხაროდეს; თუკი მსოფლიო ძველ გზით წავა, მაშინ მე მწუხარებით მომიწევს ამ ქვეყნის დატოვება.

### პირნანდ სოუ

## შხალისი ვაჭრები

● ისტორიულად უმოკლეს ხანში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მძლავრ სახელმწიფოდ გადაიქცა.

სრულიად იცვალა სახე ქვეყნის სახალხო მეურნეობაში. 1917 წელთან შედარებით 1977 წელს ჩვენი ძირითადი საწარმოო ფონდები გაიზარდა 37-ჯერ, მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი — 96-ჯერ.

ამჟამად საბჭოთა კავშირს აქვს ეროვნული სიმდიდრე, რომელიც ორ ტრილიონ მანეთზე მეტს აღწევს (მიწისა და ტყის ღირებულების გარდა).

● სამრეწველო განვითარების ტემპი სამოცი წლის მანძილზე 225-ჯერ გაიზარდა. საბჭოთა კავშირში ახლა მეტ სამრეწველო პროდუქციას უშვებენ, ვიდრე მთელს მსოფლიოში უშვებდნენ 1950 წელს.

● მეთექვსმეტედი პირველ წელს მწყობრში ჩადა 260 ახალი მსხვილი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო.

● მარტო 1970 წლიდან 1976 წლამდე დაშრობილი მიწების ფართობი ოთხი მილიონი ჰექტარით და მეტად გაიზარდა.

● 1976 წელს ჩვენში იყო 7.004 სამეურნეობათაშორისო საწარმო, ორგანიზაცია და გაერთიანება, მათ შორის სამშენებლო — 2.788, კომბინირებული საკვებისა — 426, მეცხოველეობისა — 722.

● სოფლის მეურნეობის მთელმა ენერგეტიკულმა სიმძლავრემ 1976 წელს 489,3 მილიონი ცხენის ძალა შეადგინა.

● 1976-77 სასწავლო წლის დამდეგისათვის ყველა სახეობის სასწავლებელში ჩვენში ჩაბმული იყო 98.7 მილიონი კაცი.

● უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი 1976 წელს 24 მილიონამდე გაიზარდა — 1940 წლის 2,4 მილიონიდან და 1918 წლის 0,2 მილიონიდან.

● რევოლუციამდე რუსეთში 105 უმაღლესი და 450 საშუალო სასწავლებელი იყო, რომლებშიც 181 ათასი კაცი სწავლობდა. სსრ კავშირში ახლა 859 უმაღლესი და 4.808 საშუალო სპეციალური სასწავლებელია, რომლებშიც 9,6 მილიონი კაცი სწავლობს.

● რევოლუციამდე რუსეთში

სულ 12 უნივერსიტეტი იყო, ჩვენში ახლა 65 უნივერსიტეტი მუშაობს.

● საბჭოთა კავშირში ამჟამად 7.844 გაზეთი, 4.859 ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა გამოდის.

● ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია წიგნების გამოცემით. ყოველწლიურად გამოდის დაახლოებით 85 ათასი წიგნი და ბროშურა, 1,7 მილიარდი ეგზემპლარი ტირაჟით.

● საბჭოთა გამომცემლობები ბექდავენ წიგნებს საბჭოთა კავშირის ხალხთა 89 ენაზე და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა 62 ენაზე.

● 1918 წელთან შედარებით წიგნების ტირაჟი სომხურ ენაზე დღესათვის გაიზარდა 25-ჯერ, ქართულ ენაზე — 29-ჯერ, ყაზახურ ენაზე — 88-ჯერ, უკრაინულზე 152-ჯერ, უზბეკურ ენაზე — 279-ჯერ...

● ყოველწლიურად კინოში დადის 4,5-4,6 მილიარდი ადამიანი. 1976 წელს სსრ კავშირის კინოსტუდიებმა გამოუშვეს 285 სრულმეტრაჟიანი ფილმი, 1414 მოკლემეტრაჟიანი ფილმი და 1185 კინოჟურნალი.

● საბჭოთა კავშირში 578 თეატრია, მათ შორის 158 საბავშვო თეატრი.

● საქართველოს სსრ რესპუბლიკის ტერიტორია 69,7 ათას კვადრატული კილომეტრია.

1976 წლის დამლევისათვის რესპუბლიკაში იყო 729 კოლმეურნეობა, 328 საბჭოთა მეურნეობა. ნათესების ფართობი შეადგენდა 745.000 ჰექტარს; ეს ციფრი 1921 წელს 542,7 ათას უდრიდა.

● 1976 წელს საქართველოში წარმოებული იყო ხარისხოვანი ჩაის ფოთლი — 856,2 ათასი ტონა, 1921 წელთან შედარებით 648-ჯერ მეტი.

ურძენი 448,8 ათასი ტონა, ციტრუსი — 127 ათასი ტონა.

საიუბილეო წელს ქართველმა მეჩაიებმა 405.000 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“ მისცეს საშობლოს.

● 1921 წელს საქართველოში ვენახებს ეკავა 36 ათასი ჰექტარი, ახლა მათი ფართობი 184 ათას ჰექტარს აღემატება.

● შარშან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მიიღო 3.129 ტრაქტორი, 210 მარცვალსაღებები, 464 სილოსსაღებები და 270 სიმინდასაღებო კომბინი, 2.998 სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი.

● ახლა ჩვენს მინდვრებში 24.428 ტრაქტორი და კომბინი მუშაობს.

# მას ვიქროზებენ მკვრივ...

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ღვარძლითა და გაბოროტებით ალავის პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მოსისხლე მტრები.

მათი მოსაზრებები, სურვილები, ცილისმწამბლური გამომდომებები საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და გარდაუვალ კრახს წინასწარმეტყველებდა.

დრომ საკადრისი პასუხი ვასცა ჩვენს მტრებს.

## „ბარნებ პისტორი“ (აშშ)

პეტროგრადში გამოქვეყნებულია პირველი დოკუმენტი, რომელსაც რუსეთი გარდაუვალი კატასტროფისაკენ მიჰყავს. ბოლშევიკები მას უწოდებენ: დეკრეტებს ხელისუფლებაზე, მშვიდობაზე, მიწაზე. 1917 წ.

## ბარლ კაშცკი, II ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი (გერმანია).

საბჭოთა მთავრობა დიდხანს ვერ გაძლებს და რამდენიმე დღეში დაეცემა. 1918 წ.

## მარშალი ფონი (საფრანგეთი)

1919 წელი იხილავს ბოლშევიკების აღსასრულს... 1919 წ.

## „ბანიანი“ (დიდი ბრიტანეთი)

ბოლშევიკები 5 წელში ცილიზაციას განახორციელონ ის, რისთვისაც საჭირო იქნებოდა 50 წელი ყველაზე საუკეთესო პირობებში. 1929 წ.

## ჰენრი დებარდინი, ინგლისის ნავთობის მონოპოლიების მეთაური.

ბოლშევიკები — ხალხი რაიმეს შექმნისათვის აბსოლუტურად უუნარონი, თავს მხოლოდ ნგრევისათვის დაბადებულად გრძნობენ... 1930 წ.

## ნიუ-იორკ. ბანიანი“ (აშშ)

ხუთწლიანი სამრეწველო გეგმა — ნამდვილ გეგმას არ წარმოადგენს, ეს სპეკულაციაა. 1932 წ.

● სილამაზის პირველი კონკურსი გაიმართა 1888 წლის 19 სექტემბერს, ბელგიის ქალაქ სპაში.

● 350 მონაწილიდან კონკურსში გამარჯვებული გამოვიდა 18 წლის ქალიშვილი კრეოლა ბერტა სუკარე.

● 1747 წელს ფრანგმა ინჟინერმა ფრანსუა ფრენომ თავისი ძველი პალატო კაუჩუკის ხის წვენით გაქონდა და მსოფლიოში პირველმა ჩაიცვა წყალგაუმტარი საწვინარი სამოსი.

● ინგლისელი უილიამ ჰესკისონი პირველი ადამიანი იყო, რომელიც რკინიგზის მსხვერპლი გახდა.

● კატასტროფაში დაღუპულ უილიამ ჰესკისონს ლონდონში ძეგლი დაუდგეს.

● ამერიკელმა ექიმმა ჯორჯ ტომას მორტონმა მსოფლიოში პირველმა გახდა გაეკეთებინა ბრმანაწლავის ოპერაცია.

● 1887 წლის 27 აპრილს მან ოპერაცია გაუკეთა 26 წლის კაცს და თითქმის გარდაუვალ დაღუპვას გადაარჩინა.

● 1868 წლის 10 დეკემბერს ლონდონში, პარლამენტის შენობის წინ, დადგეს მსოფლიოში პირველი შუქნიშანი, რომელიც გაზის ლამპით მუშაობდა.

● სამი კვირის შემდეგ შუქნიშანი აფეთქდა და მძიმედ დააზავა მორიგე პოლიციელი.

● პირველი კროსვორდი შეადგინა ლივრპულის მცხოვრებმა ვინემ არტურ უინმა.

● მისი პირველი კროსვორდი გაზეთში გამოქვეყნდა 1913 წლის 21 დეკემბერს.

● პირველი 20 ათასი სიგარეტი, რომლებიც გასაყიდად იყო გამიზნული, 1843 წელს გამოუშვეს საფრანგეთში.

# ვიკიპედია

● 1853 წელს კუბაში მასიურად დაიწყო სიგარეტების გამოშვება.

● 1924 წლის 21 სექტემბერს გაიხსნა მსოფლიოში პირველი ავტოსტრადა, რომელმაც შეაერთა ქალაქები მილანი და ვარეზე.

● 50 კილომეტრიანი ავტოსტრადა სახეიმოდ გახსნა იტალიის მეფემ ვიქტორ ემანუელ III.

● ქალაქის პირველი შპალერი დაამზადეს 1620 წელს, საფრანგეთის ქალაქ რუანში.

● მსოფლიოში პირველი ავტომატი-გამყიდველი მუშაობდა ეგვიპტეში (50 წელი ძვ. წელთაღრიცხვით).

● საგანგებო მოწყობილობა, რომელიც ალექსანდრიის ქუჩაში იყო დადგმული, ფულის ჩაყრისთანავე წყალს აწვდიდა გამვლელებს.

● 1936 წელს ფეხბურთში საბჭოთა კავშირის თასის პირველი გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივი“ და თბილისის „დინამო“.

● თბილისის „დინამო“, რომელიც ჯერ კიდევ არ გათამაშებდა უმაღლეს ლიგაში, მატჩი წააგო — 0:2.

● პირველი ქართული ფეხბურთელი, რომელმაც სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიიღო (1941 წელს), იყო შოთა შავგულიძე.

● სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება პირველმა მიიღო გ. კახიანი 1956 წელს. ორი წლის შემდეგ ეს საპატიო წოდება საქართველოში პირველად მიიღო დ. ცომიაძე.

● საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საქართველოში აშენდა 51.919000 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

● უკანასკნელი 20 წლის მანძილზე 8 მილიონამდე კაცმა მიიღო ახალი ბინები, ან გაიუმჯობესა სახინაო პირობები.

● ჩვენს რესპუბლიკაში ყოველ 10 ათას მცხოვრებზე მოდის 41,1 ექიმი, რაც 2,7-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე იაპონიაში, 2,8-ჯერ მეტია, ვიდრე დიდ ბრიტანეთში, 2,2-ჯერ მეტია, ვიდრე საფრანგეთში, თითქმის 2-ჯერ მეტია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

● ამჟამად რესპუბლიკის 4.214 სკოლაში სწავლობს 1002,4 ათასი ბავშვი, 95 საშუალო სპეციალური სასწავლებელში 50,9 ათასი მოსწავ-

ლე, 19 უმაღლეს სასწავლებელში — 84,2 ათასი სტუდენტი.

● საქართველოში დღეს არის 1.258 მეცნიერებათა დოქტორი და 8.047 კანდიდატი.

● საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გახდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ცენტრი, სადაც წარმოებს კვლევა თანამედროვე მეცნიერების ყველა ძირითადი მიმართულებით.

● რესპუბლიკის 11 გამოცემლობა ყოველწლიურად უშვებს 2.800-ზე მეტი დასახელების წიგნს, რომელთა ტირაჟი 16 მილიონს სჭარბობს.

● საქართველოში წიგნები, გაზეთები, უფროსები გამოდის ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე, აგრეთვე ზოგიერთ უცხო ენაზე.

● რესპუბლიკის მოსახლეობას ემსახურება 4.000 ბიბლიოთეკა, 2.817

# შხიპო ვაჭევი

კლუბი და კულტურის სახლი, 85 მუზეუმი, 28 პროფესიული თეატრი, 2.000-მდე კინოლანდარია.

● სამეცნიერო დაწესებულებებში შრომობს 24 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი.

● 1921 წელს საქართველოს მოსახლეობა 2,4 მილიონს შეადგენდა, 1977 წლის 8 იანვრისათვის ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობამ 5 მილიონს მიაღწია.

● საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა 1.200-ზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმო.

● რესპუბლიკის ეროვნულმა შემოსავალმა 1976 წელს შეადგინა 5.784,4 მილიონი მანეთი — 202 პროცენტი 1965 წელთან შედარებით.

● ამჟამად რესპუბლიკის საწარმოები ორ დღეში იმაზე მეტ პრო-


დუქციას უშვებენ, რასაც მთელი 1920 წლის მანძილზე აწარმოებდნენ.

● დღეს საქართველო აწარმოებს მეტ ელექტროენერჯიას, ვიდრე რუსეთის ყველა ელექტროსადგური აწარმოებდა დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე.

● 1976 წელს წარმოებულია 12,1 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერჯია.

● 1977 წლის პირველი ნახევრის დამლევისათვის სამრეწველო ნაწარმის 489 სახეობას სახელმწიფოს ხარისხის ნიშანი ჰქონდა მიანიჭებული.

● 1976 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაშრობილი მიწების საერთო ფართობი 150.000 ჰექტარს აღემატებოდა; ამავე წლისათვის ჩვენში ირწყვებოდა 400 ათას ჰექტარზე მეტი მიწა.



ვიქტორ კუკრაძე

აკადემიკოსთან არასოდეს ვყოფილვარ სტუმრად. წიგნებით სავსე კაბინეტში ვდგავარ. უხერხულად ვგრძნობ თავს, არ ვიცი, როგორ ავაწყო საუბარი.

— დაბრძანდით, — საქმე მითითებს მასპინძელი. პირველი, რაც ჩემი მოსაუბრისაგან ვიგრძენი, ეს იყო სასიამოვნო უბრალოება, არა, მართლ უბრალოება კი არა, უშუალოება, გულითალობა, დახვეწილი სისადავე. აკადემიკოსი ვიქტორ კუკრაძე დინჯად მესაუბრება, ლაკონურად, ღრმად, ამომწურავად მიხსნის და მინმარტავს ჩემთვის საინტერესო საკითხებს.

მათემატიკაში ნაკლებად ვერკვევი, მაგრამ კარგად ვიცი, რომ ჩემი მოსაუბრე ერის კაცია, ქვეყნის მოსიყვარულე და მოჭირნახულე, ვიცი, რომ დიდი და საჭირო საქმე გააკეთა მათემატიკურ მეცნიერებაში, კერძოდ, მათემატიკური დრეკალის თეორიაში.

— რისთვის მოგენიჭათ სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა? — ვკითხები პატივცემულ ვიქტორს. მეცნიერი წამოდგა, წიგნის კარადა გამოაღო და მაგიდაზე ჩემს წინ დადო სქელტანიანი წიგნი.

„მათემატიკური დრეკალისა და თერმოდრეკალის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანები“ — ამოვიკითხე უდაწე. ამ დიდი მეცნიერული მნიშვნელობის წიგნის ერთ-ერთი თანაავტორი ჩვენი ხალხის სასიქადულო შვილი ვიქტორ კუკრაძე გახლავთ.

ფუნდამენტალურ შრომას, რომელიც ამ სამოცფორმიან წიგნშია მოთავსებული, პატივცემულმა ვიქტორმა მრავალი წლის უძილო ღამე, მომქანცველი შრომა და მეცნიერული ძიება შეაღწია.

შარშან, მოსკოვში მეორედ გამოიცა ეს წიგნი, ახლა ჰოლანდიის ერთ-ერთმა გამომცემლობამ მოიწადინა ინგლისურ ენაზე გამოსცეს იგი.

ჩვენი გულითადი, უკვე შინაურული საუბრიდან ისიც შევიტყვე, რომ აკადემიკოსი ვიქტორ კუკრაძე მალე ვარშავაში მიემგზავრება. პოლონეთის დედაქალაქში ეწეობა დიდი სიმშოვნოში, რომელიც მათემატიკის მექანიკაში გამოყენების ძირითად მიმართულებებს ეძღვნება.

დაძაბულ მეცნიერულ შრომაში, სასარგებლო საზოგადოებრივ საქმიანობაში, დღენიდაგ თავისი ხალხისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულში ჩაიღია სიცოცხლის სამოცდაათი წელი.

აი, ამიტომაც იყო, რომ ჭარმაგი მეცნიერი მათემატიკურ მეცნიერებაში დამსახურებისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური, საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის — დაბადების 70 წელთან დაკავშირებით ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დააჯილდოეს. ივანე ტაბიძე



საქართველოს მთავრობის დაჯილდოების ბრძანებით

სამუშაო საათები მთავრდებოდა, როცა გაბრიელ მარტიაშვილთან საამქროს უფროსი მივიდა.

— ტვიფრი გაგვიტყდა, — უთხრა ჩარხთან თავდახრილ გაბრიელს საამქროს უფროსმა და დაზიანებული დეტალი გაუწოდა.

თბილისის ელექტროგამშვებ ქარხანაში სატვიფრო საამქრო ერთ-ერთი წამყვანი უბანია. მის მოქნილ და ოპერატიულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ქარხნის მთელი კოლექტივის წარმატება.

გაბრიელმა ჩარხი გამორთო. ყურადღებით დააცქერდა გადატეხილ დეტალს. საცაა ცვლა მუშაობას დაამთავრებს. მეორე ცვლას მწყობრიდან გამოსული დეტალი აბა როგორ უნდა დაახვედრონ?

ვეტრანი ხარისხისათვის ყველაფერი ნათელი იყო. გაბრიელი ისევ ყურადღებით დააცქერდა დეტალს. ნახაზები არ მოუთხოვია, გონებაში გაიზარა სამუშაო, ყველაფერი დეტალურად აწონ-დაწონა და ჩარხი აამუშავა.

სამუშაო საათები უკვე დამთავრდა. გაბრიელ მარტიაშვილი აგუგუნებულ ჩარხთან იდგა და ყურადღებით ჩაჭირკიტებდა ტვიფრს.

ეს დეტალი ახლა ჰაერით სჭირდება ბიჭებს. ტვიფრის გარეშე შეუძლებელია ელექტროგამშვების ერთ-ერთი ძირითადი დეტალის გულანას დამზადება.


ვერ დაამზადებ გულანას და ველარც ელექტროგამშვების დამზადების გეგმებს შეასრულებ! ასეა, ყველაფერი ერთმანეთზეა აწყობილი.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა საამქროს უფროსი წამოაღდა თავზე, გაბრიელი მარტიაშვილს ტვიფრი უკვე დამზადებული ჰქონდა.


ალარ შეფერხებულა ქარხნის რიტმული მუშაობა. წლების მანძილზე ასე უხმაუროდ, ასე მონდომებითა და მოვალეობის გრძობით აკეთებს გასაკეთებელს გაბრიელი.

მისი მუშური ბიოგრაფიიდან ჩვენ მხოლოდ ერთი ეპიზოდი მოგაყვით. ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერის გაბრიელ მარტიაშვილის მთელი ცხოვრება კი კრიალოსნის მარცვლებივით არის აკინძული ასეთი ეპიზოდებით.

ილია სონელიძე



გაბრიელ მარტიაშვილი



გიორგი ჩაჩიბაძე

გალის რაიონული ცენტრიდან სამიოდე კილომ. რის დაშორებით ციტრუსების თვალუწვდენილი პლანტაციებია გადაჭიმული. ეს პლანტაციები აკადემიკოს ტარასი კვარაცხელიას სახელობის კოხორის საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნის.

საბჭოთა მეურნეობას, რომელმაც საქვეყნოდ გაითქვა სახელი თავისი მაღალი სამეურნეო მაჩვენებლებით, უკვე თვრამეტი წელი სრულდება, რაც სათავეში უდგას გიორგი ჩაჩიბაძის.

პატივცემული გიორგი ოქტომბრის თანატოლი გახლავთ. დაბირ-დატაკი გლეხის შვილს ოქტომბრის ნათელმა მშემ საშუალება მისცა ცხოვრების დიდ და ნათელ გზაზე გამოსულიყო. კომკავშირელთა ძველი გვარდიის აქტიურმა წევრმა გიორგი ჩაჩიბაძემ მთელი თავისი ცხოვრება საკოლმეურნეო სოფლის აღორძინებას და წინსვლას დაუკავშირა.

1959 წელს გიორგი ჩაჩიბაძე გალის რაიონის კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დანიშნეს.

სწორედ ამ ხნიდან იწყება კოხორის საკმაოდ მძლავრ საბჭოთა მეურნეობაში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარება. ნოყიერ მიწაზე გააშენეს ჩაის პლანტაციები, ჩაყარეს ვენახი და ხეხილი, გასარეს ბამბუკი, მნიშვნელოვნად გაიზარდა ციტრუსების პლანტაციები.

აი, თუნდაც მეთე ხუთწლედის სასტარტო წელი ავიღოთ. შარშან კოხორელმა მშრომელებმა თითოეულ ჰექტარზე 11 ტონის ნაცვლად საშუალოდ 16 ტონა ციტრუსები მოიწიეს. 269 მსხმოიარე ფართობიდან მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 3.900 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე ჩაის, ყურძნის, ხილის წარმოება...

და ამ საერთო საქმეში, მოპოვებულ თვალსაჩინო წარმატებებში თავისი დიდი წვლილი შეაქვს საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელს.

საქმემან შენმა გამოგაჩინოსო. გიორგი ჩაჩიბაძე შრომის წითელი დროშის ორდენის სამგზის კავალერია, სასოფლო და რაიონული საბჭოების მრავალჯერ დეპუტატი, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოგენის ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელი.

სამშობლოსათვის თავდადებულ ვაჟაცს დიდი დაფასება ხვდა წილად: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით იგი ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დააჯილდოვდა.

ეთერ ჩილაჩაძე

# საქართველოში რუსული კაპიტილიზმი

## დიდუ უფრო გაუმჯობესდება

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მოსახლეობის სასამელო წყლით მომარაგებაში. თითოეულ ადამიანზე მოსკოვში დღე-ღამეში მოდის დაახლოებით 700 ლიტრი წყალი, პარიზში 380 ლიტრი, ლონდონში — 300 ლიტრი.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთვის საიუბილეო დღეებში მოსკოვის სამხრეთ ნაწილში სწრაფად მიმდინარეობს ახალი წყალგაყვანილობის მოწყობა. მისი მწყობრში ჩადგომის შემდეგ კიდევ უფრო გაუმჯობესდება მოსკოველთა წყლით მომარაგება.

### პიპანტური

#### პიპანტური

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მსოფლიოში უდიდესი პიპანტური ტროსადგურის საიანო-მუშენსკის მშენებლობა. იგი შენდება მდინარე ენისიეზე, იმ რაიონში, სადაც გასული საუკუნის ბოლოს გადასახლებაში იმყოფებოდა ვ. ი. ლენინი.

გვიანტური პიპანტური ტროსადგურის სიმძლავრე 6 მილიონი 400 ათასი კილოვატი იქნება.

### მისაბაძი მახალინი

უკრაინაში, ლუცკის ხელოვნური ტყავის ქარხანაში ტექნოლოგიური პროცესის დროს დიდი რაოდენობით იყენებენ მდინარე ეტირის წყალს, რომელიც შემდეგ სრულიად სუფთა უბრუნდება მდინარეს.

წყლის გასუფთავება ხდება ქარხნის ლაბორატორიაში გამოყვანილი ბაქტერიებით. ისინი მთლიანად სპობენ ტექნოლოგიური პროცესის შემდეგ მდინარის წყალში დაგროვილ ქიმიურ ნაერთებსა და სხვადასხვა სახის მავნე შენაერთებს.

### სამტომბრო სარეპარტი

მინსკში 750 ჰექტარზე მეთი ფართობი უკავია პარკებს, სკვერებს, ბულვარებს. დიდი ოქტომბრის მე-60 საიუბილეო წელს ბელორუსიის დედაქალაქში დარგავენ დაახლოებით 25.000 ხესა და 250.000-ზე მეტ ბუჩქს.

ქალაქში შენდება ახალი დიდი ბაღი, რომლის ხეივანები თითქმის ათ ჰექტარ ფართობს დაიკავებს. ამ ბაღში ძირითადად გაერთობიან და დაისვენებენ ახალი საცხოვრებელი მახვიის „მწვანე მდელის“ მაცხოვრებლები.

### უკრაინა ღრმა

უკრაინის ქალაქ საათლთან მალე მწყობრში ჩადგება მსოფლიოში უკელაზე ღრმა კაბურღილი, რომელიც

მელიც 15 კილომეტრის მანძილზე ჩავა მიწაში.

გვიანტური კაბურღილისათვის საჭირო მოწყობილობას ურალშია ქარხანაში აშენებენ.

### ასზე მეტი ოჯახი

შეათე ხუთწლეულში მოძვე ყაზახეთის დედაქალაქის საბინაო ფონდი მილიონი კვადრატული მეტრით გაიზარდება. ახალმოსახლეობას იზეიმებს 100.000-ზე მეტი მშრომელი.

ფრუნეში აშუამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ათი მიკრორაიონის მშენებლობა. დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შენდება „ალამედის“ მიკრორაიონი, რომელიც ყველაზე დიდი საცხოვრებელი მასივი იქნება.

ამ მასივში დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთვის იუბილეს წინ უკვე 100-ზე მეტმა ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა.

### საკორტის აღმავლობისათვის

ვილინუსში დაიწყო ხელოვნური უნიუსის საციფრო მოედნის მშენებლობა.

ეს მოედანი ერთ-ერთი ნაწილია იმ დიდი სპორტული კომპლექსის, რომელიც სწრაფი ტემპით შენდება მდინარე ნერისის მარჯვენა სანაპიროზე.

ვილინუსელები მალე შეიძენენ ტანმოვარჯიშეთა ახალ დარბაზს, ნიჩბოსანთა სადგურის გადახურულ სავარჯიშო აუზებს და სხვა სპორტულ ნაგებობებს.

### სულ გალე

ალმა-ათელმა ბიოქიმიკებმა დაადგინეს, რომ ბუჩქის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც კარგად ხარობს შუა აზიასა და ყაზახეთში, საუკეთესო ნედლეულს შეიცავს საპარფიუმერიო წარმოებისათვის.

ამ ძვირფას ნედლეულს მალე შეიძენენ მოძვე რესპუბლიკების საპარფიუმერიო საწარმოები.

### ახალი „უნივერსალი“

ტაშკენტში, იუნუსაბადის ახალ საცხოვრებელ რაიონში ამას წინათ მწყობრში ჩადგა უდიდესი „უნივერსალი“.

ახალი მალაზის სავაჭრო დარბაზი ათას კვადრატულ მეტრს აღემატება. დაფასობული საქონელი აქ სამაქროებიდან ტრანსპორტირებით შემოდის.

ტელეფონთა შეკეთების მიღებისთანავე „უნივერსალიდან“ საქონელი მანქანით სწრაფად მიაქვთ მომხმარებელთა.

როგორც ინგლისური ეურნალი „უორლდ მედისინი“ იუწყება, დასავლეთის ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში უკანასკნელ ხანებში მკვეთრად მცირდება შობადობა.

უშვილო ოჯახების რაოდენობით ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. ინგლისში, სადაც განუწყვეტლოვ მცირდება შობადობა, სიკვდილიანობამ უკვე გადააჭარბა დაბადებას.

ეურნალი შობადობის დაკვეთებას, უბირველეს ყოვლისა, სოციალურ-ეკონომიური პირობებით ხსნის.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრი ადამიანის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ გადაიქცა... ნაძარცვი ნივთებით ვაჭრობა.

მარტო ნიუ-იორკში ყოველწლიურად საშუალოდ 80.000 მანქანას იპარავენ.

მოპარული ნივთების დაახლოებით 67 პროცენტი იყიდება... ლეგალურ მალაზიებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სწრაფად მატულობს ქურდობას შემთხვევები.

მარტო ერთ უნივერსალ „ასექსანდერსში“, რომელსაც ნიუ-იორკში 14 ფილიალი აქვს, წელიწადში 25 ათას დამნაშავეს იჭერენ.

ნიუ-იორკში ყოველ წელიწადში საშუალოდ იჭერენ 125 ათას ქურდობაცაცს, მთლიანად აშშ-ი კი — 4 მილიონს.

მიანაიათ, რომ ყოველ ერთ დაჭერილ ქურდზე საშუალოდ მოდის... რამდენიმე დაუჭერელი ქურდი.

საფრანგეთის პოლიცია დიდხანს ცდილობდა იმის დადგენას, თუ მარსელისა და ლიონის განგსტერები საიდან იქნდნენ სხვადასხვა სახის ცეცხლსროლოვ იარაღს.

საიდუმლოს ბოლოს ფარდა აგება: ფაქტებით დადასტურდა, რომ განგსტერები ცეცხლსროლოვ იარაღს ყიდულობდნენ... პოლიციის თანამშრომლებისაგან.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ყველაფერი კვლავ დასაწყობო წყაროს საშოვნელად.

ამერიკელი ვინმე დიკ ზაიკერი შეკრებილი მაყურებლების გასართობად და ორიოდ გროვის მისაღებად, ამ რამდენიმე ხნის წინათ საგანგებოდ ცეცხლწაქცეული კოსტიუმით გადმოხტა... ექვსსართულიანი სახლის სახურავიდან.

ბევრი ინგლისელი იძულებულია, შეილი სკოლიდან გამოიყვანოს და შემთხვევით ნაშოვნ სამუშაოზე მოაწყოს.

სკოლებში ისე მცირდება მოსწავლეთა რაოდენობა, რომ როგორც გაზეთი „დეილი მირორი“ იუწყება, ინგლისის განათლების სამინისტროში ფიქრობენ, მოსწავლეებს ცოტათი ფული გადაუხადონ... სკოლებში სიარულისათვის.

ისრაელმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა... სამხედრო ხარჯებში.

85 მილიარდი ისრაელური გირვანქიდან, რაც 1976-1977 საფინანსო წლის ბიუჯეტს შეადგენს, სამხედრო ხარჯებისათვის გათვალისწინებულია მთელი თანხის... ორი მესამედი.

ნიუ-იორკის ერთ-ერთი გაზეთი მკითხველებს დაჰპირდა, რომ მომდევნო ნომერში აცნობებდა მათ, როგორ უნდა აიცილონ თავიდან ატომანქანის დაკარგვა.

ერთ-ერთი სატვირთო მანქანა, რომელზეც მომდევნო ნომრის 10.000 ახლად დაბეჭდილი გაზეთი ელაგა, მკითხველებამდე ვერ მივიდა... იგი გზაში მოიპარეს.

ეს ამბავი იტალიაშიც მოხდა.

ვინმე ჯუზეპე კუარტუოს ვილაში ღამით ბანდიტები შეგარდნენ, ჯუზეპე სცემეს, მისი ლამაზი ცოლი გრაციელა გაიტაცეს და გამოსასყიდად... 1,3 მილიარდი ლირა მითხოვეს.

გატაცებული გრაციელა მალე უვნებლად დაბრუნდა შინ.

როგორც შემდეგ გამოირკვა, შეურაცხყოფილმა ჯუზეპე კუარტუომ, რომელიც არ ენდო პოლიციას, პროფესიონალური მკვლელები დაიჭირა და მათი დახმარებით დაიბრუნა ცოლი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ციხეები ისეა გადატვირთული, რომ შიგ ბატონები ვეღარ ეტევიან.

გამოსავალი მოიხაზა: ამერიკაში ახლა ციხეებში ხშირად იყენებენ... საავადმყოფოებს, რაიმე მიზეზით დაცარიელებულ და მიტოვებულ შენობებს, კარებს...

საქართველოში  
რუსული კაპიტილიზმი

1964 წელს ტოკიოში, ოლიმპიურ რინგზე ერთმანეთს ხვდებოდნენ რუმინელი კ. კრულუ და კუბელი რ. კამინერო.

ბრძოლის დაწყებისთანავე მოკრივეები შეტევაზე გადავიდნენ, ერთმანეთს ძლიერი დარტყმები დაუარეს და... ორივე მოკვლილივით დაეცნენ ძირს.

მონდა კურიოზული შემთხვევა: ორივე სპორტსმენი ნოკდაუნში იყო!

1952 წელს ჰელსინკიში XV ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონიალის დროს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ზ. ედსტრემმა (შვედია) ვრცელი შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა.

ოლიმპიური თამაშების მნიშვნელობისა და შედეგების გაანალიზების შემდეგ, პრეზიდენტს დაავიწყდა, თავისი სიტყვა დაემთავრებინა ოლიმპიადის წესდებით დაკანონებული სიტყვებით:

— XV ოლიმპიურ თამაშებს დახურულად ვაცხადებ.

ოლიმპიადის ისტორიაში ეს იყო ერთადერთი კურიოზული შემთხვევა, როცა იგი ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ დახურულად.

1920 წელს ფეხბურთელთა ოლიმპიური ტურნირის ფინალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩეხოსლოვაკიისა და ბელგიის გუნდები.

ჩეხოსლოვაკელი ფეხბურთელები, რომლებიც თამაშს აგებდნენ, ინგლისელ არბიტრს ლუისის გაუნაწყენდნენ, მისი მსაჯობა არაობიექტურად მიიჩნიეს და დემონსტრაციულად დასტოვეს მოედანი.

მსგავსი შემთხვევა არ ახსოვდა ოლიმპიური თამაშების ისტორიას!

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩეხოსლოვაკიის გუნდი გათამაშებიდან მოხსნა.

ფინალში მონაწილეობის უფლება მისცეს ესპანეთის გუნდს, რომელმაც გამარჯვებით დაამთავრა მატჩი.

მოსკოვის „დინამოს“ კალათბურთელები — ტყუილი დები ნინა და ლიუდმილა ერემინები ისე გავიდნენ ერთმანეთს, რომ მათი გარჩევა არა მარტო მოწინააღმდეგეებს, თავიანთი გუნდის წევრებსაც უჭირდათ.

დები თამაშობდნენ ნომრებით „8“ და „9“.

საბოლოოდ რომ დაებნია და დაექსაქსა მოწინააღმდეგეები, ლიუდმილა მაისურზე ისე იკერებდა თავის „ცხრას“, რომ იგი ძალიან წაგავდა ხოლმე „რვას“.

დებისა და ნომრების მსგავსება მოწინააღმდეგეებში დიდ და სასურველ დაბნეულობას იწვევდა.


ლიუდმილა აშუამდ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია.

ნინა ერემინა — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ახლა სპორტული ტელეკომენტატორი ქალია.

ცნობილია, რომ 1978 წელს გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, მაგრამ უცნობია, ვინ იქნება მსოფლიოს ახალი ჩემპიონი.

შეგახსენებთ მსოფლიო ჩემპიონებს ფეხბურთში:

- 1930 წ. — ურუგვაი
- 1934 წ. — იტალია
- 1938 წ. — იტალია
- 1950 წ. — ურუგვაი
- 1954 წ. — გერ
- 1958 წ. — ბრაზილია
- 1962 წ. — ბრაზილია
- 1966 წ. — ინგლისი
- 1970 წ. — ბრაზილია
- 1974 წ. — გერ
- 1978 წ. — ?



1921 წელს საქართველოში გამოდიოდა გაზეთი „კავკასიის კომუნა“, რომელიც „რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კავკასიის საოლქო ბიუროს საქართველოს განყოფილებად“ ითვლებოდა. იგი სტამბურად ცალ გვერდზე იბეჭდებოდა და ჭიხურებზე და სხვადასხვა თელსაჩინო ადგილას ედებებზე აკრავდნენ. გაზეთი ისევე ფართოფორმატიანი იყო, როგორც რესპუბლიკის დიდი გაზეთები. გაზეთის გამოცემა 1921 წლის მარტიდან დაიწყო და თავისი

შინაარსით და ცოცხალი, ოპერატიული ინფორმაციებით მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევდა. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ გაზეთში იბეჭდებოდა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოში მომხდარი სხვადასხვა ამბების ვრცელი ინფორმაციები, მოხსენებები და განკარგულებები. ეს კი დიდად აინტერესებდა გაზეთის მკითხველებს, რომლებიც მოკლებული იყვნენ სწორ ცნობებს საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ.

4 მარტის „კავკასიის კომუნაში“ დაიბეჭდა ლენინის „საქართველოს კომუნისტების ტაქტიკის შესახებ“. აი, ასეთ მეტად მნიშვნელოვან წერილებსა და ინფორმაციებს ათავსებდა გაზეთი თავის ფურცლებზე.

მაგრამ გაზეთ „კავკასიის კომუნის“ განსაკუთრებული დამსახურება მაინც ის არის, რომ ამ გაზეთში პირველად დაიბეჭდა კარიკატურები, რომლებიც საბჭოთა სატირის პირველი ნიმუში იყო.

ასეთ სატირულ კარიკატურებს გაზეთი ყოველ ნომერში ბეჭდავდა, სადაც მწარედ დასცინოდა და ამთრახებდა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს მტრებს, ბურჟუებსა და მის დამკვეთ უხეირო ლაქებს. გაზეთ „კავკასიის კომუნის“ სატირის ეს მეტად საინტერესო ჟანრი შემდეგ განავითარეს საბჭოთა კარიკატურისტებმა და დღეს ჩვენ გვაქვს კლასიკური საბჭოთა კარიკატურა — სატირა, რომელიც იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში და რომლის ავტორები არიან ცნობილი საბჭოთა სატირიკოს-იუმორისტები.

ვაქვეყნებთ ამ 55 წლის წინათ „კავკასიის კომუნაში“ დაბეჭდილ კარიკატურებს, სადაც ნათლად ჩანს მთელი ბუნებაგანწყობილება ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი მკეეხარა და ბაქია შოვინისტ-ავანტიურისტებისა, რომლებიც ათასგვარ კორებს ავრცელებენ ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ.



საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ჩვენი პლანეტის ერთი მეექვსედი ნაწილი — 22,4 მილიონი კვადრატული კილომეტრი უკავია. საბჭოთა კავშირის მოსახლეობა 258 მილიონს აღემატება. ჩვენს სოციალისტურ საშობლოში ცხოვრობს 126 ერი და ეროვნება.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში შედის 15 მოკავშირე რესპუბლიკა, 20 ავტონომიური რესპუბლიკა, 8 ავტონომიური ოლქი და 10 ნაციონალური ოკრუგი.

ჩვენს ქვეყანაში 150 ათასზე მეტი მდინარეა, 250 ათასი ტბა; ქვეყნის საზღვრები 60 ათას კილომეტრზეა გაჭიმული.

ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები მტკიცედ შეკრა და შეადლუაბა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარმა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ხალხთა ძმობის, მონოლითური შეკავშირების, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით შეიარაღებული მშრომელების უძღვევლი სახელმწიფოა.

ეს ძლიერება ლენინური პარტიის ბრძნული შორსმჭვრეტელური ეროვნული პოლიტიკის ნათელი ტრიუმფია!

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს თავისი დიდი და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთო საქმეში, — ჩვენი საშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში, კომუნისმის ნათელი შენობის აგებაში.

ხალხის ნებისა და მისწრაფების გამომხატველი ახალი კონსტიტუცია კი-


დევ უფრო რაზმავს, აერთიანებს, ახალი შრომითი მიღწევებისაკენ უზმობს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს.

ერთა ძმურ კავშირში თანასწორუფლებიანი საბჭოთა ადამიანები ნიჭს, უნარს, შრომასა და მონდომებას არ იშურებენ საშობლოსათვის. მათი მიზანი ნათელია, ხვალისდელი დღისადმი რწმენა — მტკიცე, ძმური მეგობრობა — ურღვევი და საიმედო.

აი, სწორედ თავისუფალ ხალხთა ეს ურღვევი და საიმედო მეგობრობაა ჩვენი ძლიერების წყარო, ახალ-ახალ გამარჯვებათა უტყუარი საწინდარი!

უზრნალის გარეკანის მესამე გვერდზე გამოქვეყნებული ფოტოსურათები მოძმე რესპუბლიკებშია გადაღებული. ამ რამდენიმე სურათშიც ნათლად იგრძნობა ჩვენი დღევანდელი დღის მჩქეფარე ცხოვრება, საბჭოთა ადამიანების გარჯა, პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის თავდადებული შრომა.

### კროსვორდი



**თარაზულად:** 1. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი. 3. ზოგიერთ ბანქოს თამაშში თანხა, რომელიც ბანქოს დამრიგებლის განკარგულებაშია. 6 მარქსისტების პირველი საერთო რუსული გაზეთი. 7. ჩარჩო, ჩონჩხი, ამბავი (მხატვრული ნაწარმოებისა). 8. საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე. 10. სახალხო რესპუბლიკა აზიაში. 13. ხალხის, ეპოქის, პოეტთა ჯგუფის ლექსთა ერთობლიობა. 16. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში. 18. ცალკე პიროვნების ან დაწესებულების ანაბარი საზღვარგარეთის ბანკში. 20. ილილის მსგავსი ლექსი სოფლის ცხოვრების თემაზე. 23. ინდუსტრიული ქალაქი საბჭოთა კავშირში. 26. მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 27. ბერძენი მღიგავე. 30. ფეთქებადი ნივთიერებით დატენილი სასროლი საშუალება. 32. განმარტება ანუ... 33. დამუხტული ატომი, რომელშიც რამდენიმე ელექტრონი ნორმაზე მეტია ან ნაკლები. 34. ერთ-ერთი ქართველური ტომი, რომელიც დასახლებულია შავი ზღვის სანაპიროზე. 35. ფრანგული ლენინო. 36. საერთო ინტერესების მქონე სოციალური ჯგუფი, რომელსაც აერთიანებს საწარმოო საშუალებებისადმი ერთნაირი დამოკიდებულება.

**შვეულად:** 1. ქალაქი, სადაც ჩატარდა რსდმპ III ყრილობა 1905 წ. 2. ბაქოს არალეგალური ჯგუფის სახელწოდება ლ. კეცხოველის ხელმძღვანელობით. 3. ციმბირის მშენებარე მაგისტრალი. 4. უცნობი სიდიდის აღმნიშვნელი მათემატიკაში. 5. ნავის ნაპირი, ქიმი. 8. მუსიკალური ნაწარმოები ერთი პირისათვის. 9. პეტერბურგის დღევანდელი სახელწოდება. 11. მძიმე მრეწველობის პირველი კომისარი. 12. კოლოფი ინიციალებიანი ბეჭდით, რომელსაც იაპონელები ჯიბით ატარებენ. 13. კატების ჯიშის ცხოველი. 14. ძველებური ფრანგული ოქროსა და ვერცხლის ფული. 16. ასოთსაბეჭდავი ტელეგრაფის აპარატი. 17. ბერძნული ანაბანის ასო. 19. სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა აზიაში. 21. ზოგიერთი ტროპიკული მცენარის შესქელებული რძე-წვენი. 22. „კაპიტალის“ ავტორი. 24. სიგარტის ძველებური ფრანგული სახელი. 25. მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპი, დებულება. 26. მდინარე საფრანგეთში. 27. საფრანგეთის ერთ-ერთი მეფის სახელი. 29. შუა საუკუნეების ინდოეთის მსხვილი ფეოდალებისადმი მიმართვა. 31. ერთ-ერთი გარეული ცხოველის შვილი.

#### „დროშის“ № 10-ში გამომკვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. როსტკვანი; 5. ამირსპასალარი; 6. ბასტილია; 8. სარიდანი; 12. აბო; 19. ხე; 20. ბუა; 22. ალა; 23. ზიჩი; 24. ტარიელი; 27. სეფე; 30. ლაბადა; 32. იმელი; 33. ასმათი; 35. ალვა; 37. კულა; 38. თავაქარაშვილი; 39. რუსთაველი.

**შვეულად:** 1. რვილი; 2. სუხსი; 3. ამალა; 4. იმამი; 7. საწმისი; 9. არაბეთი; 10. ია; 11. ფატმანი; 13. ბუ; 14. ძე; 15. ხვადი; 16. სპარტა; 17. სარო; 18. პოემა; 21. ალი; 25. რემა; 26. ელდა; 28. ტაო; 29. ყმა; 30. ლალი; 31. აზავერი; 33. ალქიმია; 34. ისლი; 36. არზა.

გარეკანზე: საიუბილეო პლაკატი „1917-1977“. მხატვრები დინარა ნოღია და თენგიზ სამსონაძე.

გადაეცა ახაწყობად 10/X-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XI-77 წ., ქაღალდის ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიციური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,5, საღარიცხვო-საგამომცემლო თაბაბი 4,9, ტირაჟი 51860 შეკვ. 3045. უე 00846. ფაბი 30 კაბ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

**რედაქციის მისამართი:**

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 98-28-42, 99-01-89.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.








ეროვნული  
ბიბლიოთეკა

- სომხეთის სსრ. ერევანი.  
ლენინის მოედანი.
- უაზახეთის პედაგოგიური  
ინსტიტუტის სიმღერისა და  
ცეკვის ქალთა ანსამბლის  
„აიგულის“ სოლისტები.
- მოლდავეთის სსრ. ტირას-  
პოლის ბამბეულის კომბინატი.
- ბელორუსიული ავტომანქა-  
ნები.

● აჭარაშაჯანის სსრ. ნავთი ზღვის ფსკე-  
რიდან.




● ლიტვის სსრ. კაუნასი. ახალბე  
მიკროტელევიზორები („შილიაღის  
402 ლ“).





ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ИНДЕКС 76056

დასაწყისი